www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

ყველაზე მკაცრი მემორანდუმის მოლოდინში A3

კამიკაძე ქალებმა მოსკოვის აეროპორტში ტერაქტი განახორციელეს A5

TV პროგრამა A8

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 6 ივლისი, 2003 წელი. №183 (395)

ფასი 30 თეთრი

"კმარა" დღისით და ღამით

გიგა გურასაშვილი

კმარა განუკითხაობა, კმარა უსამართლობა, კმარა ტერორი, ძალადობა, კმარა ასე ცხოვრება! კმარა... გუშინ რუსთაველის გამზირზე ბევრი იყო ასეთი მოწოდება. ღამით, ზუსტად 00:00 საათზე "კმარას" აქტივისტებმა რუსთაველის გამზირი, დაახლოებით, ერთი საათით გადაკეტეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

როგორ ცდილობენ ძალოვანები საზოგადოების გულის მოგებას

კობა ლიკლიკაძე,
„რადიო თავისუფლება", სპეციალურად „24 საათისათვის"

გამჭვირვალობა და საზოგადოებრივი ურთიერთობები საქართველოში ყველას პირზე აკერია. საქართველოს ძალოვანი სამინისტროები ცდილობენ, ამ ტენდენციას არ ჩამორჩნენ და გასულ კვირას რამდენიმე მეტად საინტერესო პიარ-კამპანია მოაწყვეს. თუმცა, ბევრი შეკითხვა კვლავ უპასუხოდ დარჩა.

კვირის დასაწყისში საქართველოს უშიშროების სამინისტროში ინტერნეტ-გვერდის პრეზენტაცია გაიმართა. ამ ფორმით საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარება საქართველოში ჯერ კიდევ ახალი ხილია და თუ არ ჩავთვლით მთავარ სამხედრო პროკურატურას, სხვა გასამხედროებულ, სპეციალურ უწყებებში, ჯერჯერობით, შიდა კომპიუტერული ქსელიც კი არ არსებობს. შესაბამისად, ნოვაცია არც ზოგიერთი შეცდომისგან აღმოჩნდა დაზღვეული. მაგალითად, უშიშროების სამინისტროს ხსენებულ ინტერნეტ-გვერდის პირველსავე განყოფილებაში ყურადღებას იქცევს აშკარა შეუსაბამობა – ლოგოში თავს იწონებს წარწერა "საქართველოს უშიშროების სამინისტრო", ხოლო ლოგოს ქვემოთ, მარცხენა კუთხეში განთავსებულია ამონარიდი საქართველოს კანონიდან, საიდანაც ირკვევა, რომ ის, რასაც უშიშროების სამინისტროს უწოდებენ, სინამდვილეში არის "უშიშროების სამსახური". სხვათა შორის, ამ შეუსაბამობას მინისტრის პოსტზე დანიშვნისთანავე მიაქცია ყურადღება ვალერი ხაბურძანიამ.

გაგრძელება A2 გვერდზე

ამინდი

თბილისი	33
ქუთაისი	34
ბათუმი	32
სოხუმი	33
ფოთი	33
თელავი	32
ზუგდიდი	36
გორი	31
ახმეტა	32
ჭიათურა	34

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1500
ევრო	2.4891
გირვანქა სტერლინგი	3.5750
რუბლი	0.0708

სერიოზული სიგნალები ვერშემდგარი ბრიფინგიდან

ბაია ბერულავა/ფოტო

თბილისი აეროპორტი - "პირველი ნაბიჯები"

ვერიკო თევზაძე

აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის გუშინდელ ვიზიტს შევარდნაძემ "ტრადიციული, პარტნიორული" უწოდა, ხოლო ოპოზიციის წარმომადგენლის, "დემოკრატ" ზურაბ ჟვანიას შეფასებით, "ბეიკერის საგანგებო ჩამოსვლა ძალზე სერიოზული სიგნალია შევარდნაძისთვის"...

პრეზიდენტ შევარდნაძესთან აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის დახურული შეხვედრა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში 18 საათსა და 45 წუთზე დაიწყო და 21 საათსა და 50 წუთზე დამთავრდა. შევარდნაძე-ბეიკერის დიალოგი დაძაბული რომ იყო, ამაზე ერთი დეტალიც მიუთითებს: შეხვედრის დამთავრებამდე 7-10 წუთით ადრე, მეორე სართულიდან რეზიდენციის ფოიეში ჩამოსული აღელვებული და დაძაბული საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი უშიშროების საბჭოს მდივანს თედო ჯაფარიძეს ხმამაღლა უხმობდა. საკმაოდ გადაღლილი ბატონი ჯაფარიძე ამ დროს შენობის შემოსასვლელ კიბეებთან იდგა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, დანაპირები ბრიფინგი, შეიძლება ითქვას, რომ ვერ შედგა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ნამდვილად ქანცგაცლილმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ და ალბათ, ასევე გადაღლილმა ბეიკერმა (თუმცა იგი შედარებით ყოჩაღად გამოიყურებოდა) პრესასთან საუბარი ფიზიკურად ვერ შეძლეს. დახურული შეხვედრის მომლოდინეს დამრჩა შთაბეჭდილება, რომ გუშინ საღამოს შევარდნაძე და ბეიკერი ვერ შეთანხმდნენ, რა უნდა ეთქვათ პრესისთვის (კიდევ ცალკე ამოუცნობი საკითხია, რაზე შეთანხმდნენ და რაზე ვერა ისინი დიალოგისას).

გაგრძელება A3 გვერდზე

ჯეიმს ბეიკერი და სამართლიანი არჩევნები საქართველოში

გუშინდელ კომენტარებში ოპოზიციური პარტიების ლიდერები ბეიკერის ვიზიტს არჩევნებს უკავშირებდნენ

აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, საქართველოში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რიჩარდ მაილსის რეზიდენციაში, გუშინ ოპოზიციური პარტიების ლიდერებს შეხვდა.

ბეიკერმა თქვა, რომ ჩამოსულია მისიით, რათა დაარწმუნოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და ხელისუფლება, რომ საქართველოს ერთადერთი შანსი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარებაში მდგომარეობს, - განუცხადა ჟურნალისტებს შეხვედრის შემდეგ "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა, პარლამენტარმა დავით გამყრელიძემ. მისივე თქმით, შეხვედრაზე საუბარი იყო საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების საკითხზეც.

"ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ზეწოლა, რომელსაც აშშ-ს ადმინისტრაცია განახორციელებს შევარდნაძეზე, ოპოზიციამ უნდა გამოიყენოს იმისთვის, რომ პრეზიდენტს ეშინოდეს არჩევნების გაყალბების.

"დემოკრატიული აღორძინების კავშირის" ერთ-ერთმა ლიდერმა, დეპუტატმა ჯემალ გოგიტიძემ განაცხადა, რომ ამერიკელებს საარჩევნო კომისიების საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნიათ.

ჯეიმს ბეიკერთან შეხვედრაზე იმყოფებოდნენ, ასევე, "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი, "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია, "ტრადიციონალისტთა კავშირის" ხელმძღვანელი აკაკი ასათიანი.

"ტრადიციონალისტთა" ლიდერმა ჯეიმს ბეიკერის საქართველოში ვიზიტს "ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი ფაქტი უწოდა. "ადემოკრატიის დამცველი ჯეიმს ბეიკერი შევარდნაძის დიდი ხნის მეგობარია. ის აუცილებლად იმ ღირებულებებიდან გამომდინარე დაელაპარაკება საქართველოს პრეზიდენტს, რისიც თვითონ სწამს. ამიტომ, ვურჩევ ედუარდ შევარდნაძეს, დაიცვას დემოკრატია და ხელი შეუწყოს საქართველოში არჩევნების სამართლიანად ჩატარებას,"- განაცხადა ასათიანმა.

"ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ლიდერი ზვიად ძიძიგური თვლის, რომ საქართველოში ვიზიტისას ჯეიმს ბეიკერი შეეცდება "შევარდნაძის მობერებული ტვინის უჯრედებამდე მიიტანოს ის, რომ საქართველოს მომავალი არ აქვს დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გარეშე."

მისი აზრით, ჯეიმს ბეიკერი ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისას მისგან კატეგორიულად მოითხოვს დემოკრატიული "საარჩევნო კოდექსის" მიღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში დესტაბილიზაცია გარდაუვალია. "ამერიკა, თავის მხრივ, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ არჩევნების შემდეგ ხელისუფლების სათავეში დემოკრატიული ძალები მოვიდნენ", - დარწმუნებულია ძიძიგური.

არჩევნები ცესკო-ში

გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ახალი თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი აირჩია. თუმცა, ეს არჩევნები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან, რეალურად, არანაირი ცვლილება კომისიის ხელმძღვანელობაში არ მომხდარა. უბრალოდ, გიორგი ზესვაშილი აღარ იქნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. დღეიდან იგი ფართო საზოგადოების წინაშე კომისიის სრულუფლებიან თავმჯდომარედ წარსდგება. საკუთარ თანამდებობებს ინარჩუნებენ, აგრეთვე, თავმჯდომარის მოადგილე გივი კომახიძე და კომისიის მდივანი მამუკა კოპალეიშვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

დაანებეთ პურს თავი!

"ნაციონალები" პურის ფასის მომატებაში ხელისუფლების ფარულ სურვილს ხედავენ

პურის გაძვირებას გუშინ საქართველოს ოც ქალაქში ერთდროულად აპროტესტებდნენ. შუადღის 12 საათისთვის "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების მიერ წინასწარ დამუხტულმა მოსახლეობამ საზეიმოდ გადაკეტა სარკინიგზო და საავტომობილო გზები ფოთში, ხობში, აბაშაში, ლანჩხუთში, ჩხოროწყუში, სენაკში, სამტრედიაში, ქუთაისში, ბაღდათში, ზესტაფონში, ჭიათურაში, საჩხერეში, ამბროლაურში, ახალციხეში, ბორჯომში, ხაშურში, გორში, რუსთავში, გურჯაანსა და დედოფლისწყაროში.

გაგრძელება A2 გვერდზე

ხორბალი და პოლიტიკა

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

რუსეთში ხორბლის გაძვირების პროგნოზებზე საუბრისას ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გაისმის შემაშფოთებელი ფრაზა "პურის დეფიციტი". მარტო მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ფუნთუშეული ნაწარმის დეფიციტი ნამდვილად არ იგრძნობა. ობივატელს ვერ გაუგია, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ პური გაძვირდეს და დახლიდან ხორბლეულის მომაბეზრებელი რაოდენობა, ერთ მშვენიერ დღეს, მართლა გაქრეს. სტატისტიკური მონაცემებით, პურის ინდუსტრიას რუსეთში ყოველწლიურად 70 მლნ დოლარის მოგება მოაქვს.

რუსეთის სამომხმარებლო ბაზარს, უახლოეს პერიოდში, პურის დეფიციტი ნამდვილად არ ემუქრება, აი, ხორბლის გაძვირება კი მოსალოდნელია. ასეთი პარადოქსული დასკვნა გააკეთა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის ხორბლეულის კავშირის პრეზიდენტმა არკადი ზლოჩევსკიმ.

გაგრძელება A2 გვერდზე

სიყვარულის მომლერალი

გარდაიცვალა ბარი ვაითი



ედუარდ კოკოითის მიერ ცხინვალში მოწყობილი ტოტალური საკადრო წმენდის შემდეგ, რომელმაც მოსახლეობას მთელი ყურადღება სამთავრობო გარჩევებზე გადაატანინა, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა საქართველოსა და რუსეთის წინაშე ოდნავ განსხვავებულ ამპლუაში წარსდგა. თუკი დღემდე ოსები ისეთ განცხადებებს აკეთდებდნენ, რომლის თანახმად, ეს არაღიარებული და პოლიტიკური სტატუსის არმქონე ტერიტორიული წარმონაქმნი "დამოუკიდებლობას არაფერზე გაცვლიდა", ახლა ედუარდ კოკოითი რუსეთის შემადგენლობაში შესვლას იხვეწება. არგუმენტი საკმაოდ მარტივია – სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 60 პროცენტს თურმე რუსეთის მოქალაქეების პასპორტი აქვს.

სამხრეთ ოსეთში არ იციან, რა ბედი ელით

ცხინვალში აღიარებენ: "რესპუბლიკად, მინიმუმ, წელიწადნახევრის განმავლობაში დავრჩებით"

თამარ მჭედლიშვილი

თავისთავად, ამ რანგის ჩინოვნიკის განცხადება ბევრს რომ არაფერს ნიშნავს, ეს კოკოითმაც კარგად უწყის. "დამოუკიდებელი რესპუბლიკის" ბედი რომ ცხინვალში არ გადაწყდება, ეს იმთავითვე ნათელია. საჯაროდ რა განცხადებებიც უნდა აკეთონ ოფიციალურმა პირებმა, თავად ცხინვალში სულ უფრო კარგად ესმით, რომ სამხრეთ ოსეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი არც რუსეთისა და არც დასავლეთისათვის აქტუალური არ არის და დღეს ამ რეგიონში არსებული ვითარება, ადრე თუ გვიან, შეიცვლება.

ამის დასტურად, კოკოითის ინიციატივასთან დაკავშირებით კრემლის რეაქციაც გამოდგება. უკვე გუშინ რუსეთის ყველა საინფორმაციო საშუალებამ გადმოსცა ოფიციალური მოსკოვის პასუხი.

გაგრძელება A3 გვერდზე

როგორ ცდილობენ ძალოვანები საზოგადოების გულის მოგებას

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ვალერი ხაბურძანია: "ჩემი აზრით, სამინისტროს რანგში ეს უწყება არ უნდა იყოს. იმიტომ რომ, ის არ არის კლასიკური გაგებით აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა, ის არის სპეციალური ორგანო. სპეციალური ორგანო კი არ უნდა იყოს დამოკიდებული სამთავრობო ცვლილებებზე. მას აქვს უფრო ხანგრძლივი დროით განსაზღვრული ფუნქცია, ეს არის სახელმწიფოს უსაფრთხოება და არა კონკრეტული ხელისუფლების უსაფრთხოება."

მაგრამ რაკი ამ ორი სათაურის ოპტიმიზაცია აშკარად აღემატება საქართველოს უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობის შესაძლებლობებს, ძალიან საეჭვოა, რომ მას ქვეყნის მართვაში გამეფებულმა პოსტსაბჭოთა ინერციამ იმის შესაძლებლობა მისცეს, რომ კონკრეტული ხელისუფლების უსაფრთხოებაზე მაღლა, საზოგადოებისა და კონკრეტული ადამიანის უსაფრთხოებაზე ზრუნვა დააყენოს. მეტიც, შესაძლოა ხელისუფლებამ უშიშროების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდის შექმნის იდეაც დაუწუნოს, რადგან მასზე განთავსებული ინტერაქტივის შედეგი, შეკითხვაზე, მხარს უჭერთ თუ არა საქართველოში ლუსტრაციის კანონის მიღებასო, აშკარად ეწინააღმდეგება ამ პრობლემასთან მიმართებაში ჩამოყალიბებულ ოფიციალურ თვალსაზრისს.

როგორც ირკვევა, უშიშროების ინტერნეტ-გვერდით გამოკითხულთა 75 პროცენტი ამ კანონის სასწრაფო მიღებას უჭერს მხარს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ინტერნეტით საქართველოში ძირითადად საშუალო და მაღალი ფენის წარმომადგენლები სარგებლობენ, ცხადი ხდება, რომ საზოგადოების მხრიდან ერთგვარ დაკვეთასთან გვაქვს საქმე, რაც საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა შეასრულოს. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება საფრთხეს ხედავს იმაში, რომ საქართველოს ხელისუფლებაში კვლავაც იმყოფებიან ადამიანები, რომლებიც ფარულად თანამშრომლობდნენ საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტთან და რომ საჭიროა მათი იდენტიფიცირება, არა ანგარიშსწორებისთვის, როგორც ამას პროპაგანდისტული მიზნებით აცხადებს ოფიციოზი, არამედ იმისთვის, რომ გადაეკეტოთ ასეთ ადამიანებს გზა მაღალი თანამდებობისკენ.

თანამდებობაზე კი საქართველოში იშვიათად ნახავთ ადამიანს, რომელიც ერთხელ მაინც არის იყოს ეჭვმიტანილი რომელიღაც ბნელ ძალასთან თანამშრომლობაში ან მძიმე დანაშაულში, თანაც საკუთარი კოლეგის მიერ. ყველას ჩამოთვლა გაჭირდება, მაგრამ გავიხსენოთ სკანდალური ბრალდებები, რომელიც კოდორის ხეობაში მძევალთა გატაცების შემდეგ, დევნილობაში მყოფმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ და პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორის ხეობაში, ერთმანეთში გაცვალეს. პირველის მისამართით ნათქვამი იყო, რომ ბრალი მიუძღვის სოხუმის დაკარგვაში. მეორეს კი გაუხსენეს კრიმინალური წარსული და დააბრალეს მძევალთა გატაცების ორგანიზება. თანაც, არ დაგავიწყდეთ, თუ რა რანგის სახელმწიფო მოხელეებზეა ლაპარაკი: თამაზ ნადარეიშვილი, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, უშიშროების საბჭოს წევრია და ხელი მიუწვდება ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ინფორმაციაზე. ემზარ კვიციანი კი პრეზიდენტის რწმუნებულია ხეობაში, პარალელურად - არის შეიარაღებული ძალების კოდორის ოპერატიული მიმართულების სარდალი და ასევე დაშვება აქვს ძალიან ბევრ საიდუმლო ინფორმაციაზე. ამ წუთში ლაპარაკი არ არის იმაზე, თუ რომელია მათ შორის მტყუანი და მართალი. ლაპარაკი ბრალდებათა სიმძიმეზე, რომელიც არათუ გამოძიებული იქნა, არამედ მეტად პარადოქსული კომენტარი მოჰყვა სახელმწიფოს პირველი პირის მხრიდან: ედუარდ შევარდნაძემ ჩათვალა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ პირადი დაპირისპირების საგანია და არ ღირს მისი განზოგადება.

შესაბამისად, სანამ ასეთი მიდგომები იარსებებს ქვეყნის უმაღლეს ეშელონებში, მანამდე საზოგადოების ნდობის მოპოვება ძალიან ძნელი იქნება და ამას ვერ უშველის ვერავითარი ბრჭყვიალა ინტერნეტ-გვერდი ან გნებავთ ისეთი თამამი პიარ-ექსპერიმენტი, რომელსაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გასულ კვირას მიმართა, როდესაც სამხედრო უწყების ხელმძღვანელის აპარატის უფროსი თავად უსვამდა შეკითხვებს ჟურნალისტებს და მათგან მიღებული პასუხებით აფიქსირებდა საკუთარი უწყების გულისწყრომას, ხელისუფლების საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის გამო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ცოტაც და საბიუჯეტო თანხების სანაცვლოდ, სასოწარკვეთილი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ძალუფლებასაც კი გადაულოცავდა მასმედიის წარმომადგენლებს. მას ხომ ფაქტობრივად აღარ დარჩა იმედი შეპირებული ბიუჯეტის თანხების მიღებისა – როგორც ამბობენ, გასულ კვირას საქართველოს თავდაცვის მინისტრმა უკანასკნელ საშუალებას მიმართა და პირდაპირ მუშტი-კრივი გაუმართა მის კოლეგა ფინანსთა მინისტრს.

სხვათა შორის, საკუთარი ინტერნეტ-გვერდის გასახსნელად საქართველოს თავდაცვის სამინისტროც ემზადება. იქ თქვენ ამოიკითხავთ ბევრ საგულისხმო ინფორმაციას ქართული არმიის მიღწევის შესახებ, მაგრამ არ გაგიკვირდეთ, თუ წააწყდებით ინტერაქტივსაც ერთ მეტად საჭირბოროტო საკითხზე – სჭირდება თუ არა საქართველოს არმია?

არჩევნები ცესკო-ში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სხვათა შორის, ამ არჩევნებმა ლეიბორისტების პროტესტი გამოიწვია, რომლებიც აცხადებენ, რომ კომისიის დატოვების მაგიერ, მისი წევრები საკუთარ უფლებამოსილებებს აკანონებენ. ლეიბორისტები ხელისუფლებისა და ზურაბ ჟვანიას გუნდის **"ფარულ გარიგებაზეც"** საუბრობენ, რომლებსაც თურმე **"სურთ, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები სწორედ ამ შემადგენლობის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამართოს".**

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, რომელმაც, წესით, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები უნდა შეიტანოს და ცესკო-ს დაკომპლექტების ახალი წესი განსაზღვროს, არა და არ იმართება. როგორც ვარაუდობენ, პარლამენტი ამ საკითხის განხილვას თავს ვერ მოაბამს, რადგან მრავალთვიანი კონსულტაციების მიუხედავად, არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია პოზიციების დათმობას არ აპირებს. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, ვითარება მოულოდნელად შეიცვალოს. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, თუკი საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანას საკმაოდ პრინციპულად მოსთხოვენ.

24 საათი

ცესკო-ს თავმჯდომარე ჰყავს

ᲒᲘᲚᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

დაანებეთ პურს თავი!

ნაციონალები ხელისუფლებას უარეს სიურპრიზებსჰპირდებიან

ᲒᲘᲚᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ნაციონალ მეპურეებს" სერიოზული ექსცესები და თავგადასავლები არ გადახდენიათ. შეთანხმებისამებრ, გზები მხოლოდ ნახევარი საათით გადაიკეტა. იქვე მოეწყო ბლიც-მიტინგებიც, სადაც შავი დღე აყარეს ხელისუფლებას, რომელიც "ხელოვნურად ზრდის ფასს პურზე" და პრეზიდენტს, რომელიც "პურის მაფიასთან მეგობრობს".

"ნაციონალების" მართალი სიტყვის ჩახშობას აბაშაში და ზესტაფონში შეეცადნენ, სადაც ადგილობრივმა პოლიციამ საკაშვილის მეგობრებს გზის გადაკეტვის უფლება არ მისცა, თუმცა ზესტაფონელი "ფარაონების" წინააღმდეგობა მალევე გადალახულ იქნა და "ნაციონალებმა" პურ-მიტინგების გამართვა მაინც შესძლეს.

დედაქალაქის ქუჩები გუშინ შეგნებულად არ გადაუკეტიათ, რადგან "თუ თბილისში მსგავსი აქციები დაიწო, ეს აუცილებლად შევარდნაძის გადადგომითა და დესტაბილიზაციით დასრულდება", საარჩევნო დესტაბილიზაცია კი, ხელისუფლებისგან განსხვავებით, "მაღალი რეიტინგის მქონე "ნაციონალებს" სულაც არ ეპიტნავებათ.

თუმცა, "ნაციონალების" მთავარი სახეები გუშინ უსაქმოდ მაინც არ დარჩენილან, პარტიის ოფისში კობა დავითაშვილის, კოტე კემულარიას, ვანო მერაბიშვილის და დავით ბერძენიშვილის ერთობლივი გამამხნევებელი პრესკონფერენცია ჩატარდა, სადაც აღინიშნა, რომ გუშინდელი "ამბავი" მხოლოდ გამაფრთხილებელი აქციაა, რაც სავსებით შესაძლებელია საერთო სახალხო გამოსვლებში გადაიზარდოს. კობა დავითაშვილმა პურის ფასის მომატებაში ხელისუფლების ფარული სურვილი ამოიკითხა, რაც საარჩევნოდ დესტაბილიზაციის შექმნაში მდგომარეობს.

კოტე კემულარიამ განაცხადა, რომ "პრეზიდენტის მფარველობის ქვეშ მყოფი ხორბლის მაფია პურის 35-40 თეთრით გაძვირებას გეგმავს". როგორც "ნაციონალები" აცხადებენ, პურის გასაძვირებლად ხელისუფლებამ საგანგებოდ შეარჩია წელიწადის ყველაზე ცხელი პერიოდი, იმ იმედით, რომ ხალხი მზეს მოერიდება და ქუჩაში არ გამოვა.

"ამჯერად აქციებში მხოლოდ ჩვენი აქტივისტები მონაწილეობენ, მაგრამ თუ პურის გაძვირებას თავს არ დაანებებენ, ჩვენ უარეს სიურპრიზებს ვპირდებით," – გაამხნევა ხელისუფლება დავითაშვილმა.

24 საათი

ხორბალი და პოლიტიკა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ვისაც რეფორმებამდელი მოსკოვის ცარიელი დახლები და უგრძესი რიგები ახსოვს, პურზე ტალონებიც ემახსოვრება. პრეზიდენტის თქმით, "ქვეყანაში, სადაც ხორბლეულის ფანტასტიური მოსავალია, პურის დეფიციტზე პროგნოზების კეთება ასევე ფანტასტიური მკრეხელობაა, ამიტომ რუსეთში ხორბლის გაძვირება – პოლიტიკური სკანდალია."

რუსეთის პურის წარმოების დღევანდელ სპეციალისტებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ რუსული ხორბლის მოსალოდნელი გაძვირება ცარიელი პოლიტიკაა. ვინ დგას ამ პოლიტიკის უკან? "ის პიროვნებები, ძირითადად ჩინოვნიკები ხელისუფლებიდან, ვინც აგრარული სექტორის არცოდნას ავლენს," - ამტკიცებს ზლოჩევსკი.

რუსი ექსპერტები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამოც, რომ რუსეთში ხორბლის გაძვირება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში აუცილებლად გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას და ის რესპუბლიკები, ვინც ხორბალს დღემდე რუსეთისაგან იძენს, სავალალო მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ.

რუსი სპეციალისტები იქვე აღნიშნავენ, რომ ხორბლის გაძვირებაზე ხელისუფლებიდან წამოსული სიგნალები მხოლოდ წინასაარჩევნო სპეკულაციაა. რუსეთში არის იმდენი ხორბალი, რომ არა მხოლოდ ცენტრსა და რეგიონებს ეყოს, არამედ უახლოესი მეზობლებიც დავაკმაყოფილოთ, - სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ რუსები. "პურის დეფიციტზე განგაშის ატეხვა ბიუროკრატებისა და ხელისუფლებაში მოსასვლელად გამზადებული არაპატრიოტ ჩინოვნიკთა პირადი უპასუხისმგებლობაა." ბატონი ზლოჩევსკი ამტკიცებს, რომ თუ წინასაარჩევნო რუსეთში ხორბლეული გაძვირდა, სამომხმარებლო კალათის "რეგულირება" ძირითადი მოხმარების საქონლით მანიპულაციას გამოიწვევს. ეს კი რუსეთში არჩევნების პერიოდში პოლიტიკური გავლენის სფეროების მომრავლებას მოიტანს.

ხსნა კომერციულ მშენებლობებშია

ასე მიაჩნია თბილისის საკრებულოს არქიტექტურისა და მშენებლობის დროებითი კომისიის თავმჯდომარეს, მანუჩარ მაჩაიძეს

მაკა ჯაიანი

საუბარი დედაქალაქის ავარიულ სახლებზეა. თბილისში შარშანდელ მიწისძვრამდე ასეთი 360 სახლი იყო, აქედან 150 – პირველი კატეგორიის. გასული წლის 29 აპრილს მათ კიდევ 300 სახლი დაემატა, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში გაგრძელებულმა მცირე მიწისქვეშა ბიძგებმა და გადაუღებელმა წვიმებმა კი, ბევრი სახლი მეორე და მესამე კატეგორიიდან პირველში გადაანაცვლა. "ქალაქში საშინელი მდგომარეობაა, ხალხი სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში ცხოვრობს, საკმარისია 4-5-ბალიანი მიწისძვრა და ჭერი თავზე დაენგრევათ," – წუხს საკრებულოს არქიტექტურისა და მშენებლობის დროებითი კომისიის თავმჯდომარე.

გართულებული საცხოვრებელი პირობების გამო, ქალაქის ხელმძღვანელობას უამრავი ადამიანი მიმართავს. ქალაქის ბიუჯეტში, როგორც საკრებულოს არქიტექტურისა და მშენებლობის დროებითი კომისიის თავმჯდომარე მანუჩარ მაჩაიძე ამბობს, ავარიული სახლებისთვის ერთი თეთრიც არ არის გამოყოფილი. რაც შეეხება ყბადაღებულ ოთხ მილიონ ლარს, რომელიც ცენტრალურ ბიუჯეტს მიწისძვრით დაზარალებულთა დასაკმაყოფილებლად ქალაქისთვის გასულ თვეში უნდა გადაერიცხა - ჯერ არ ჩანს, თუმცა, მისი განაწილებისთვის უკვე ხელჩართული ბრძოლაა გაჩაღებული, როგორც მერიის შიგნით, ისე მის გარეთ. კაბინეტებში ურთიერთობებს თბილისის მთავრობა და საკრებულო არჩევენ, ქუჩაში – მიწისძვრით დაზარალებულები. კამათი ამჯერადაც არასაკმარის თანხებზეა.

ოთხი მილიონი რომ ხუთ ამდენად შეფასებულ საქმეს ვერ გააკეთებს, პრობლემას კი დაამძიმებს, ფაქტია. ფულის, რაც შეიძლება სწრაფად მიღების მსურველებმა, ქალაქის ხელმძღვანელების კაბინეტებთან დგომასა და საიდუმლო სახეებით ჩურჩულს მოუხშირეს. ეს იმათ აღიზიანებს, ვინც კაბინეტებამდე მისვლას ვერ ახერხებს და ვითარებაც იძაბება. მოვლენებმა შეუქცევად ხასიათი რომ არ მიიღოს, საკრებულოს არქიტექტურისა და მშენებლობის დროებითი კომისიის თავმჯდომარე დედაქალაქის მთავრობას კომერციული მშენებლობების დაწყებას ურჩევს: **"როცა ასეთი სიტუაციაა, კეთილი ინებოს მერიამ, მოიზიდოს გრანტები, აიღოს კრედიტები, ააშენოს სახლები, ჯერ დაზარალებულები დააკმაყოფილოს, თავისუფალი ბინები კი გაყიდოს და ვალსაც დაფარავს."**



კომისიის თავმჯდომარის აზრით, ახლა მეგობრების შეწუხების დროა

ᲒᲘᲚᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

მანუჩარ მაჩაიძეს არ სჯერა, რომ ქალაქის მთავარი აღმასრულებლები ასეთი მნიშვნელოვანი საქმისთვის სახსრებს ვერ მოიძევენ. **"ბიუჯეტში ფული დევნილებისთვის სასოფლო-სამეურნეო იარაღის შესაძენად, შავი ზღვის ტალღების გასაზომადაც კი იყო გამოყოფილი. თუ ამისთვის მოინახა ფული, ამ პრობლემის მოგვარებას რაღა უდგას წინ?** – კითხულობს იგი, - **სტიქიური უბედურებების დროს, სახელმწიფოები ერთმანეთს ეხმარებიან. ჩვენს მთავრობას, როცა სჭირდება, მსოფლიოში უამრავი მეგობარი ჰყავს, თბილისის დასახმარებლად კი თავი რატომღაც არავის გამოუდია."** კომისიის თავმჯდომარის აზრით, ახლა სწორედ მეგობრების შეწუხების დროა და საქმეს სხვანაირად არ ეშველება.

გარდაიცვალა რობერტ ბარძიმაშვილი

"ორერა" - წასული ლამაზი წლები

გუშინ საღამოს, 69 წლის ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი, ცნობილი ქართველი მუსიკოსი რობერტ ბარძიმაშვილი, რომელიც დღემდე ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ "ორერას" ხელმძღვანელობდა. ამის გარდა, იგი იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე კულტურის დარგში.

1958-1978 წლებში რობერტ ბარძიმაშვილი ცნობილ ქართულ ანსამბლს "ორერას" ხელმძღვანელობდა. 1975 წელს კი ვოკალურ-ინსტრუმენტული ჯგუფი "ვია-75" დააარსა.

ინტერ-პრესი

ᲝᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

თბილისი. ევროპის თანამშრომლობისა და უშიშროების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იან კუბიში კვირას ხუთდღიანი ვიზიტით საქართველოს ეწვევა.

ეუთოს გენმდივანი საქართველოში ამ ორგანიზაციის მისიის საქმიანობას და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას გაეცნობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი იგორ გაირგაძე, სამშობლოში დაბრუნებისათვის სერიოზულად ემზადება" - აცხადებს მამამისი, პანტელეიმონ გაირგაძე, რომლის მტკიცებით, "ბოლოს საკუთარი ვაჟი 3 ივლისს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ, იმ ქვეყანაში ნახა, რომელსაც მძიმე კლიმატური პირობები ახასიათებს". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადებით, საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს დაევალა, რომ დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ჩეჩნეთიდან დევნილ პირებს, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება სურთ. ამასთან, პუტინმა აღნიშნა, რომ ეს პროცესი მუდმივად ვერ გაგრძელდება. **პრაიმ-ნიუსი**.

■ ■ ■

თბილისი. პანკისის ხეობიდან დევნილთა დაბრუნებისთვის რუსეთის ხელმძღვანელობის ზრუნვა პირდაპირ კავშირშია 5 ოქტომბერს ჩეჩნეთში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებთან - აცხადებს ადამიანთა უფლებების დაცვის ჩეჩნეთის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე ასლანბეკ აბდურზაკოვი. მისი თქმით, რუსეთის ხელმძღვანელობისათვის მნიშვნელოვანია, რომ დევნილები ჩეჩნეთში სწორედ ახლა დაბრუნდნენ, რადგან დევნილების მონაწილეობის გარეშე რესპუბლიკის მეთაურის დემოკრატიულ არჩევნებზე საუბარი არ შეიძლება. მისივე განცხადებით, პანკისში მყოფ ჩეჩნებსაგან დაბრუნების სურვილი ბევრს არ აქვს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ "საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის" წევრებმა ქართველი ჟურნალისტის ნაზი შამანაურის დაბადების დღე აღნიშნეს და ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს, "როგორი წამებითა და ცემით მოკლეს 1983 წელს თავისუფალი სიტყვისთვის ჟურნალისტი".

როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე ითქვა, ნაზი შამანაურმა 1982 წელს ჩარგალში, "ვაჟკაცობის" დღესასწაულზე, დუშეთის რაიონის მაღალი თანამდებობის პირები თვითნებობაში და ბოროტმოქმედებაში ამხილა, რისთვისაც იგი დედასთან - სარა ინაშვილთან ერთად დააკავეს. მათ იძულებითი მკურნალობა მიუსაჯეს თბილისის ასათიანის სახელობის ფსიქიატრიულ კლინიკაში.

"საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის" თავმჯდომარის გიორგი კერვალიშვილის მტკიცებით, ნაზი შამანაურმა 70 დღე იშიმშილა და 1983 წლის იანვარში "ფსიქიატრიული საავადმყოფოს ამჟამინდელმა მთავარმა ექიმმა აბელ მამარდაშვილმა და მკურნალმა ექიმმა მზია გოგიჩაიშვილმა იგი სასიკვდილოდ ცემეს", რის გამოც შამანაურმა თავის ტრავმა მიიღო და მოგვიანებით, მე-9 საავადმყოფოში გარდაიცვალა. **ინტერპრესი**

■ ■ ■

თბილისი. ამიერკავკასიის სამი ქვეყნის ელექტროსისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის აღდგენით და ელექტროენერგიით ვაჭრობის განვითარებით, რეგიონი 246 მილიონ დოლარზე მეტ დამატებით შემოსავალს მიიღებს. ჰიდრორესურსების გამოყენების სპეციფიკის გათვალისწინებით, საქართველოს წილი ამ შემოსავლებიდან საკმაოდ დიდი იქნება. ასეთი მონაცემებია მოყვანილი სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მიერ შემუშავებულ 2003-2020 წლების საქართველოს ენერგეტიკული განვითარების სტრატეგიაში. **ინტერპრესი**

■ ■ ■

თბილისი. მიმდინარე წლის შემოდგომაზე საქართველოში, შესაძლოა, ელექტროენერგია გაიაფდეს. ამის იმედს იძლევა ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში მომზადებული ტარიფის დაანგარიშების ახალი მეთოდოლოგია, რომლის მიღებაც, სავარაუდოდ, შემოდგომაზე იგეგმება. სემეკისა და დამოუკიდებელი ექსპერტების ერთობლივი მუშაობის შედეგად შექმნილი ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, ელექტროენერგიის ღირებულებაში ტექნიკური დანაკარგებისა და ამორტიზაციის კუთვნილი წილი უნდა შემცირდეს. სემეკის წევრის დემურ ჩომახიძის განცხადებით, ტარიფში ფონდების ამონაგების 10-20-პროცენტიანი წილის შემცირებაც იგეგმება. მისი თქმით, სემეკი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მოთხოვნის გათვალისწინებასაც აპირებს. კერძოდ, იგეგმება ელექტროენერგეტიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე დახარჯული კრედიტების ტარიფში ასახვა. **ინტერპრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მოკლედ

"თბილისში კრიზისია"

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ რუსეთის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შესვლასთან დაკავშირებით მოსკოვისადმი ცხინვალის მიმართვის გამო საქართველოს ხელმძღვანელობა გააკრიტიკა.

ეს მიმართვა თბილისში აბსოლუტური კრიზისის ნიშანია სეპარატისტულად განწყობილი რეგიონების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაჭრის გზის გამონახვის თვალსაზრისით და ამ კრიზისმა, შესაძლოა, დამანგრეველი ხასიათი მიიღოს", - განაცხადა საერთაშორისო საქმეების კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი როგოზინმა. მისი თქმით, რუსეთის ხელმძღვანელობამ ყოველივე უნდა იღონოს, რათა მეზობელ სახელმწიფოში კრიზისი შეიარაღებულ დაპირისპირებაში კვლავ არ გადაიზარდოს, რაც შეიძლება რუსეთის სამხრეთ საზღვრის უსაფრთხოებაზეც აისახოს. **პრაიმ-ნიუსი**

აფხაზები დიალოგისთვის მზად არიან

აფხაზეთის დაბრუნების ერთადერთი გზა მხარეებს შორის არსებული კონფლიქტის მოწესრიგებაა - ეს მოსაზრება იმ უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეკუთვნის, რომლებიც ქართულ-აფხაზურ სივრცეში სამოქალაქო დიალოგის გაღვივების მიზნით, ცალკეულ პროექტებს აფინანსებენ.

აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხის გარშემო სპეციალური დისკუსია ძსროსის ფონდის" ოფისში გუშინ გაიმართა. მასში მონაწილეობა სწორედ იმ ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა მიიღეს, რომელთაც პროექტების ფარგლებში ერთნაირი შეხება აქვთ როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ მხარესთან.

დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნა ასეთია - აფხაზური საზოგადოება ბევრად უფრო მზად არის ქართულ მხარესთან დიალოგის წარმართვისთვის და გაცილებით მეტად ელის ცალკეულ წინადადებებს საქართველოსგან, ვიდრე საქართველო ემზადება ამ წინადადებების ჩამოსაყალიბებლად. ექსპერტებმა აფხაზეთის კონფლიქტი ტიპიურ კომფლიქტად შეაფასეს. **ინტერ-პრესი**

დაზარალებულმა თავდამსხმელი მოკლა

გორის ცენტრში გუშინ, გვიან ღამით მომხდარ ყაჩაღობის მცდელობას მსხვერპლი მოჰყვა. ტაქსის მძღოლს - 34 წლის იოსებ ხერხეულიძეს ორი უცნობი პირი გაურკვეველი მიმართულებით წაყვანას აიძულებდა.

თავდამსხმელებმა ხერხეულიძეს თავის არეში ჭრილობა მიაყენეს, ტაქსის მძღოლმა კი, მათი მოგერიების მიზნით საყოფაცხოვრებო დანიშნულების დანა გამოიყენა და ერთ-ერთი მოძალადე მძიმედ დაჭრა, რის შედეგადაც რამდენჯერმე ნასამართლევი როინ ქუჯოშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მეორე თავდამსხმელი კი, კოტე მოსიძე მუცლის არეში მიღებული დაზიანებით გორის რაიონულ საავადმყოფოშია მოთავსებული. ხერხეულიძე თავად გამოცხადდა პოლიციაში. ***ინტერ-პრესი***

მკვლელობა თელავში

დღეს გამთენიისას ქალაქ თელავის შესასვლელში მდებარე ავტოგასამართ სადგურზე ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა მოკლეს ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორი, 1953 წელს დაბადებული აკაკი გულაშვილი, რომელიც გულ-მკერდის არეში მიყენებული ჭრილობებით ადგილზევე გარდაიცვალა.

შს თელავის სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი ომარ იმერლიშვილი ორ ვერსიას ასახელებს. ბოროტმოქმედები სავარაუდოდ, აკაკი გულაშვილისგან ბენზინის უფასოდ ჩასხმას ითხოვდნენ, რასაც მათ შორის შელაპარაკება მოჰყვა, ან შესაძლოა პირად ანგარიშსწორებას ჰქონდა ადგილი. დაყაჩაღების ვერსია არ განიხილება, რადგან ავტოგასამართი სადგურის სალაროში არსებული თანხა თავდამსხმელებს არ წაუღიათ.

ავტოგასამართი სადგურის მეპატრონე მალხაზ კერესელიძე აკაკი გულაშვილს პატიოსან და მშრომელ ადამიანად ასახელებს და იგი პირადი ანგარიშსწორების ვერსიას გამორიცხავს.

მკვლელობის ფაქტზე გამოძიებას თელავის რაიონის პროკურატურა აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

სერიოზული სიგნალები ვერშემდგარი ბრიფინგიდან

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ტაქტისა და ჟურნალისტების პატივისცემის ნიშნად, შევარდნაძემ და ბეიკერმა ორწინადადებიანი განცხადება გააკეთეს. საგულისხმოა, რომ ამ დროს შევარდნაძე შესამჩნევად ნირწამხდარი გამოიყურებოდა და საეჭვოა, ეს მხოლოდ ფიზიკური გადაღლილობის ბრალი ყოფილიყო.

შევარდნაძემ განაცხადა, რომ ჯერჯერობით ვერ გაეცნო ბეიკერის ხელით გადმოცემულ ბუშის წერილს. **"ვისაუბრეთ აფხაზეთზე, საქართველოს ენერგეტიკულ პრობლემებზე, რასაკვირველია არჩევნებზეც."**

ადვილი შესაძლებელია, რომ "ენერგეტიკულ პრობლემებზე" საუბარი შეეხებოდა "ე-ი-ეს თელასის" თემას, კერძოდ, კულუარულ ინფორმაციას მსხვილი რუსული ენერგოკომპანიის მიერ "თელასზე" ჩანაცვლების შესახებ. ეს საკითხი, რასაკვირველია, სუფთა ენერგეტიკულ თემას სცდება და იგი (თუ, რასაკვირველია, ეს კულუარული ინფორმაცია რეალობად იქცა საქართველო-ამერიკის ურთიერთობაში სიახლის მომტანი უნდა იყოს.

"მე ჩამოვიტანე ბუშის წერილი, რომელშიც ნათქვამია აფხაზეთის პრობლემაზე, არჩევნების გაყალბება არა მხოლოდ ხალხის მიერ შევარდნაძის რეჟიმის განადგურებას გამოიწვევს, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობა მკაცრ სანქციებს დაუწესებს საქართველოს, განსხვავებით ჩვენი მეზობელი ქვეყნებისგან, რომელთა მიმართ დასავლეთმა ბევრი რამ ჩაყლაპა", – ამგვარი შთაბეჭდილება დარჩა ბეიკერის შეხვედრის შემდეგ ერთერთ რადიკალ ოპოზიციონერს, "ნაციონალთა" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს. "აღორძინების" წარმომადგენელს ჯემალ გოგიტიძეს სამართლიანი არჩევნების ჩატარების ნაკლებად სჯერა. გოგიტიძის აზრით, დასავლეთის რეკომენდაციებს **"შევარდნაძე ახლაც ისე გაითვალისწინებს, როგორც 1995, 1999 და 2000 წლებში გაითვალისწინა."**

ბაბო ბელაკვილის ფოტო

კრწანისის რეზიდენცია - მძიმე დღე

ბეიკერი ქართულ პრესას დღეს, დილის ცხრის ნახევრისთვის შეხვდება, შემდეგ კი სამშობლოში გაფრინდება. გუშინ საღამოს "24 საათს" საშუალება არ მიეცა, ბატონი პრეზიდენტისთვის ეკითხა: ამაღამ ხომ არ აპირებს წერილის დაწერას, ანუ ბეიკერის ხელითვე დაუბრუნებს პასუხს ამერიკის პრეზიდენტს თუ სხვა ფორმით შეეხმიანება?

სამხრეთ ოსეთში არ იცვიან, რა ბედი ელით

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

როგორც "პთა "Новости" იუწყება, **"მოსკოვს არ შეუძლია განიხილოს სამხრეთ ოსეთის წინადადება რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციაში შესვლასთან დაკავშირებით, რადგან ეს ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და არალეგიტიმურია. რუსი მაღალჩინოსანი წყაროს ცნობით, რუსეთი პატივს ცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას"**

მოკლედ, ერთადერთი, ვისთვისაც სამაჩაბლოში დღეს არსებული ბალანსი მისაღებია, ეს კრიმინალური წრეებია - როკის გვირაბიდან შემოსულ კონტრაბანდას ხომ სწორედ ისინი კურირებენ. სამხრეთ ოსეთის რიგითი მოქალაქეები კი სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ მათი სურვილი რუსეთის ფედერაციაში შესვლისა და ორი ოსეთის გაერთიანების თაობაზე მხოლოდ ოცნებაა. რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის ეს საკითხი არ არის და არც არასდროს იქნება მნიშვნელოვანი. კრემლი ამ თემას მხოლოდ მაშინ მიმართავს (ისიც, საკმაოდ იშვიათად), როცა საქართველოს ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა სურს.

ამიტომაც არის, რომ ცალკე ადგილობრივ და ცალკე რუსულ მედიაში სულ უფრო ხშირად ჩნდება სტატიები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სამხრეთ ოსეთში უკვე სერიოზულად წუხან საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე. გამოითქმება ათასი ვერსია თუ ვარაუდი, როდის და რა პირობებში გაუშლის რუსეთი საკუთარ მკლავებს სამხრეთ ოსეთს. მთავარი აქცენტი ამ პუბლიკაციებში, ბუნებრივია, ორი ოსეთის გაერთიანების იდეაზე კეთდება. ასე რომ, ცხინვალი საკუთარ მომავალს არც თუ ნათელ ფერებში ხედავს.

ცოტა ხნის წინ გაზეთ "მოლოდიოჟ ოსეტიი"-ში გამოქვეყნდა მეტად საინტერესო წერილი, რომლის სათაური ასე ჟღერს: "რესპუბლიკად, მინიმუმ, წელიწადნახევრის განმავლობაში დავრჩებით".

"ამ ფრაზას კონკრეტული დატვირთვა რომ მიეცინჭოს, უნდა დავძინოთ, რომ ძალიან ბევრი რამ, ჩვენი დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელი პოლიტიკური ორიენტაციის (პროდასავლური თუ პრორუსული) მიმდევარი იქნება საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული. როგორც ცნობილია, შევარდნაძემ საკუთარი ლიმიტი უკვე ამოწურა, რუსეთს კი "ქართული სავარძლის" მეპატრონესთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა აქვს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სამხრეთ ოსეთისათვის ყველაზე მისაღები სწორედ რომ "დასავლური შედეგია". ამ შემთხვევაში ის "ორი ჯოკერი" (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი), რომელსაც რუსეთი, რამდენიმე წელია, ცხვირწინ უფრიალებს ოფიციალურ თბილისს, ბოლოსდაბოლოს, ბანქოს იმ დასტაში ჩაეწყობა, რომელსაც "რუსეთის ფედერაცია" ეწოდება. "რუსული შედეგის" შემთხვევაში კი ჩვენ დამოუკიდებლობას აუცილებლად დავკარგავთ. თბილისის საამებლად კრემლი ამაზე აუცილებლად წავა და თუკი საქართველოს ხელმძღვანელი რუსეთის კაცი იქნება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა დაუყოვნებლივ მიეცემა დავიწყებას და ორად გახლეჩილი ერის პრობლემა არავის აღარ ააღელვებს...", - წუხს სტატიის ავტორი, რომელიც საკუთარ ხელისუფლებას რჩევასაც აძლევს:

"ადგილობრივი ექსპერტები რესპუბლიკის სუსტ საგარეო პოლიტიკაზე, ჩვენი საგარეო სამინისტროს დაბალეფექტურ საქმიანობაზე ბოლო დროს სერიოზულად საუბრობენ. დღეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამუშაოს მთელ ტვირთს პრეზიდენტი ზიდავს... რას აკეთებს ამ დროს საქართველო? პირველ რიგში, მან გააძლიერა საკუთარი გუნდი შერეულ საკონტროლო კომისიაში. ამას გარდა, ბოლო პერიოდში საქართველომ კვლავ დაიწყო მასიური შეტევა საინფორმაციო საშუალებებით... ეს გასაგებიცაა, თბილისს ცხელი შემოდგომა ელის და ეს საპარლამენტო არჩევნებია... მოკლედ, ჩვენ, მინიმუმ, წელიწადნახევარი გვაქვს. მაქსიმუმი – ღმერთმა ქნას!.. აუცილებელია ცვლილებები საგარეო პოლიტიკაში. იგი, თუ გნებავთ, უფრო აგრესიულიც უნდა გახდეს. ამასთანავე, პრეზიდენტის განტვირთვაც აუცილებელია, რადგან პრობლემები შიდა პოლიტიკაში ისედაც თავზესაყრელად გვაქვს. ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ეკონომიკურ შეძლებაზეც, რომელიც მოლაპარაკებებში სერიოზული კოზირი იქნება..."

რამდენიმე დღის წინ კი რუსულ ინტერნეტ-გაზეთ "სოოტეჩესტვენიკის" საიტზე ერთობ საინტერესო პუბლიკაცია გამოჩნდა, რომლის ავტორი, ირინა ჯანაევა სამხრეთ ოსეთის საკუთარ ტერიტორიად აღიარებისაკენ რუსეთს პირდაპირ მოუწოდებს. არგუმენტები კი ასეთია: ცხინვალი პრორუსულია და სამხრეთ ოსეთს ჩრდილოეთ ოსეთთან შერწყმის დაუოკებელი სურვილი აქვს.

"რუსეთი სამხრეთ ოსეთში აღიქმება, როგორც დიდი სამშობლო, რომლის მიღმა ცხოვრება მძიმეა და მტანჯველი. რუსეთში მიდიან სასწავლებლად, ნათესავების მოსანახულებლად. პრაქტიკულად, თითოეული სამხრეთოსური ოჯახი გაყოფილია – ნაწილი ჩრდილოეთ, ნაწილი კი სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს. ასე იყო წინათაც, მაგრამ კავკასიონის ქედი არასდროს წარმოადგენდა პრობლემას ოსეთის ორივე ნაწილისათვის. ამიტომაც არის, რომ სავიზო რეჟიმთან დაკავშირებული ყველა პრობლემა საკმაოდ მტკივნეულად აღიქმება...", - ამბობს ავტორი, თუმცა შემდგომ თავადვე აღიარებს, რომ ცხინვალის სურვილს რუსეთთან შეერთების თაობაზე ახდენა არ უწერია: **"სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, არაერთი დაპირების მიუხედავად, ჯერ არ არის გახსნილი საკონსულო პუნქტი... სამწუხაროდ, როგორც საგარეო უწყება იუწყება, რუსეთის საკონსულოს გახსნა ვლადიკავკაზშიც არ იგეგმება..."**

ფიცი უშიშროების აკადემიაში

გუშინ საქართველოს უშიშროების სამინისტროს აკადემიაში 75-მა ახალწვეულმა ფიცი საზეიმო ვითარებაში დადო. ცერემონიალს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია და უწყების სხვა პირველი პირები დაესწრნენ. ფიცის მიღების საზეიმო ცერემონიალის შემდეგ გაიმართა ჯარისკაცთა საჩვენებელი გამოსვლები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მათ შორის ხელჩართულ ბრძოლებში. ფიცის მიღების შემდეგ, სამსახურის გასავლელად ისინი სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან. ჯარისკაცები იმსახურებენ როგორც თბილისში, ასევე ქვეყნის სხვადახვა რეგიონში.

მიმდინარე წლის საგაზაფხულო გაწვევა ამ უწყებაში 100 პროცენტით შესრულდა.

ინტერ-პრესი

"კმარას" ბორჯომში არ უშვებენ

ბორჯომში "კმარას" აშკარად არ სწყალობენ და ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევენ. თავდაპირველად ადგილობრივი ხელისუფლების ძალა "კმარას" ბორჯომულმა ორგანიზაციამ იგრძნო, როცა ბორჯომის გამგებელმა თანამოქალაქე "კმარელებს" გამგეობასთან აქციის ჩატარების უფლება არ მისცა. შემდეგ მედგარ წინააღმდეგობას თბილისელი "კმარელებიც" წააწყდნენ, რომლებიც ბორჯომელი კოლეგების დასახმარებლად მეორე დღესვე დაიძრნენ. ბორჯომის შესასვლელთან მათ ჯოხებითა და ქვებით შეიარაღებული ადამიანები დახვდნენ, რომლებიც "კმარას" ფიზიკურად გაუსწორდნენ.

24 საათი

"კმარა" დღისით და ღამით

ბაბო ბელაკვილის ფოტო

"კმარა" შუაღამით რუსთაველზე

ვიდრე "კმარელები" აქციას წამოიწყებდნენ, ჩვენ ჟურნალისტები პარლამენტის შენობასთან გავმაგრდით იმ იმედით, რომ ეს უკანასკნელნი სააპარეზო არენად აღნიშნულ ტერიტორიას გამოიყენებდნენ. ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. "კმარელებმა" აქცია ქაშვეთის ეკლესიასა და ცისფერ გალერეასთან გაახურეს. ამის შემხედვარე პარლამენტის შენობის სახელმწიფო დაცვის წევრებმა შვებით ამოისუნთქეს – აქეთ არ მოდიანო. და მაინც, რა იყო ღამის თავშეყრის მიზეზი.

"ჩვენს მშვიდობიან მსვლელობებს გადაცმულ შეიარაღებულ პოლიციელებს უპირისპირებენ. ბორჯომში "კმარას" წარმომადგენლებს თავს დაესხნენ რაიონის გამგეობის თანამშრომლები. თავს დაესხნენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც შევარდნაძისა და სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწეების კარიკატურებს აკრავდნენ ქალაქში. ამ თავდასხმის საპასუხოდ 4 ივლისს გავმართეთ სოლიდარობის აქცია. ასევე მხარდასაჭერად 5 ივლისს დილით, ამ ფაქტთან დაკავშირებით და სოლიდარობის მიზნით, "კმარელები" ბორჯომში გაემართნენ. თუმცა, ჩვენს მშვიდობიან არაძალადობრივ აქციას ადგილობრივმა ხელისუფლებამ, პირველ ყოვლისა სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელმა, გუბერნატორმა და ბორჯომის რაიონის გამგებელმა უხეში და უტიფარი ძალა დაგვიპირისპირა. მშვიდობიან მანიფესტაციაზე თავდასხმა კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ხელისუფლება ძალას კარგავს. არამარტო "კმარამ", არამედ მთელმა საზოგადოებამ მოიპოვა უდიდესი გამარჯვება. ესაა ის მორალური გამარჯვება, რომელიც ბორჯომში იქნა მოპოვებული",- განუცხადა "24 საათს" თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა ლევან რამიშვილმა.

ყველაზე მკაცრი მემორანდუმის მოლოდინში

გვანცა კვინიკაძე

სავალუტო ფონდის მისიასთან ფინანსთა სამინისტროში გუშინ დაწყებული, შემდეგ კი, სახელმწიფო კანცელარიაში გვიან საღამომდე გაგრძელებული დაძაბული სამუშაო შეხვედრების შედეგად, ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, ანუ ის ციფრი უნდა გარკვეულიყო, რომლითაც მთავრობას 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცა მოუწევს. თუმცა, დღის ბოლოსაც კი, ხელისუფლებისა და სავალუტო ფონდს შორის არც ამ საკითხზე იყო შეთანხმება მიღწეული და, არც ფონდის ავადსახსენებელი მემორანდუმი არსებობდა. თავად მთავრობის წარმომადგენლები ასეთ ციფრად 135 მილიონი ლარს ასახელებდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ ხარჯების ეს სოლიდური შემცირება ბიუჯეტის დაცულ მუხლებს არ შეეხება. თუმცა, ბევრი რამ მისიის საქართველოში ყოფნის ბოლო ორ დღეში გაირკვევა.

ბაბო ბელაკვილის ფოტო

მოლოდინი

საქართველოსა და სავალუტო ფონდის ურთიერთობის ისტორიაში ყველაზე "რთულად" მონათლული, რამდენჯერმე ჩაშლის პირას მისული ფონდის მისიის ვიზიტი ორ დღეში დასრულდება. დღეს მისია საბოლოო შეხვედრას გამართავს სახელმწიფო მინისტრთან, ხოლო ხვალ – პრეზიდენტს გამოემშვიდობება. ალბათ, სწორედ პრეზიდენტი შევარდნაძე იხილავს პირველად ფონდის მემორანდუმს, რომელიც, ქართული მხარის მოლოდინით, უპრეცენდენტოდ მკაცრი იქნება და რომელშიც, სავარაუდოდ, ბიუჯეტის ხარჯების შემცირების გარდა, შემოსავლების გაზრდის მოთხოვნაც ჩაიდება. ამ სიმკაცრის საფუძველი კი, საქართველოს მთავრობამ სავალუტო ფონდს ნამდვილად მისცა, როცა მისიას შეუსრულებელი ვალდებულებებით დახვდა. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა ივნისის თვის ბიუჯეტისა და სავალუტო ფონდის პარამეტრის მნიშვნელოვანმა გარღვევამ. სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის განცხადებით, სავალუტო ფონდი საქართველოს მთავრობისგან ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცის რეალურ ციფრთან ერთად, ამ ცვლილების გახორციელების გარანტიების წარდგენასაც ითხოვს. ასეთ გარანტიებს შორის, ისაკაძე, პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში, აგრეთვე საკანონმდებლო ბაზაში "ფულის გათეთრების შესახებ" ახლახანს მიღებული კანონის შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და სეკვესტრის დამტკიცების აუცილებლობას ასახელებს. ყველა ამ ცვლილების პროექტი პარლამენტს, სავარაუდოდ, ერთ პაკეტად წარედგინება. თუ პარლამენტი ამ პაკეტს დაამტკიცებს, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის აზრით, ფონდის პროგრამის გაგრძელებას პრობლემები არ შეექმნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას საგარეო ვალების მომსახურებისთვის წელსვე საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდის გარდა, ბევრი მძიმე შიდა ვალდებულების შესრულებაც მოუწევს, რაც საარჩევნო წელს განსაკუთრებით პრობლემური იქნება მისთვის.

თუმცა` არის კიდევ ერთი საკითხი, რომლის მოგვარებაც საქართველოს მთავრობას მოუწევს. საქმე წინა წლებში დაგროვილი სახელფასო და საპენსიო დავალიანების დაფარვას ეხება, რომლის საერთო მოცულობა 150 მილიონ ლარს აღწევს. მთავრობა ამ ვალის დაფარვას სპეციალური სახელმწიფო ქაღალდების გამოშვებით გეგმავს. ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის განცხადებით, ეს იდეა სავალუტო ფონდისთვისაც მისაღებია. თუმცა ფონდის აზრით, სახელფასო და საპენსიო დავალიანება სამწლიანი, 2004-2006 წლებზე და არა, ექვსწლიანი, 2004-2010 წლებზე (საქართველოს მთავრობის ვარიანტი) გათვლილი ფასიანი ქაღალდებით უნდა დაიფაროს. ისაკაძის თქმით, ამჟამად სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს აღნიშნული ფასიანი ქაღალდების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთის დადგენისათვის.

ამერიკა ირანთან მოვაჭრე ფირმებს სჯის

ადამ მჭედლიძე

ირანისთვის სამხედრო ტექნოლოგიის მიყიდვის გამო ვაშინგტონმა სანქციები შემოიღო ჩინეთის ხუთი და ჩრდილოკორეული ერთი კომპანიის წინააღმდეგ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, ირანს თავისუფლად შეეძლო ამ კომპანიებისგან მიღებული ტექნოლოგიის მეშვეობით მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება. სანქციები ითვალისწინებს ვაჭრობის შეწყვეტას და ასევე აშშ-ის მთავრობისგან დახმარების შეწყვეტას.

აღსანიშნავია, რომ დასჯილი ხუთი ჩინური კომპანიიდან ოთხის წინააღმდეგ ერთხელ უკვე გამოყენებული იყო სანქციები ირანისა და პაკისტანისთვის სამხედრო ტექნოლოგიის მიწოდების გამო.

ჩინეთის მხრიდან "შავ სიაში" მოხვდნენ კომპანიები: "ზიბო ქემიკალ ექუიპმენტი," "ლიანგ იუნლონგ ქემიკალ ექუიპმენტი," "ჩაინა ნორს ინდასტრიზ," "ჩაინა პრესიჟენ მაშინერი იმპორტ/ექსპორტი" და "ტაიან ფორინ ტრეიდ ჯეენრალ კორპორეიშენი." დასჯილი ჩრდილოკორეული კომპანია "ჩანგვანგ სინიონგი" გახლავთ.

მომხდართან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოხატა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომლის განცხადებითაც "ამერიკული მხარის ბრალდებები უსაფუძვლოა." მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტი ირწმუნება, რომ არსებობს 2002 წლის პირველ ნახევარში ზემოხსენებული კომპანიების მიერ ირანისთვის სამხედრო ტექნოლოგიების მიყიდვის უტყუარი ფაქტები.

ჰოსპიტალური საინფორმაციო სისტემა

როდის დაინერგება იგი საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში?

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

პროგრამის დემონსტრაცია ირაკლი სასანიას მიერ

ზაზა ფაჩუაშვილი

ნოვატორული იდეებით ცნობილი ბავშვთა მრავალპროფილიანი საავადმყოფო "რესპუბლიკა" ისეთ სიახლეს გვთავაზობს, რომელიც აუცილებელია მთელი ჯანდაცვის სისტემისთვის. ეს არის ჰოსპიტალური საინფორმაციო სისტემა, რომელიც ბლოკებისგან შედგება - კლინიკური საინფორმაციო სისტემა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა.

სისტემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კლინიკაში კომპიუტერული ქსელის საშუალებით შექმნილია სრულყოფილი საინფორმაციო ბაზა, რომელიც მოიცავს ყველაფერს პაციენტიდან წამლებამდე. ერთი წუთის განმავლობაში ყველა ექიმს შეუძლია, ნახოს ნებისმიერი პაციენტის ავადობის ისტორია, რეციდივი, იმჟამინდელი მდგომარეობა და ა.შ.

ასევე სრულყოფილი ინფორმაცია აქვს ადმინისტრაციას შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, კადრების მდგომარეობის შესახებ (ბიოგრაფიული მონაცემები, დატვირთვა, უწყვეტ საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობა, მივლინებები და ა.შ.), წამლების რაოდენობის შესახებ (რა მედიკამენტებს ფლობს კლინიკა, როგორ იხარჯება პრეპარატები განყოფილებებისა და რაოდენობის მიხედვით, რისი რესურსი იწურება და ა.შ.) და, რაღა თქმა უნდა, პაციენტების შესახებ.

ამ სისტემის მთავარი სარგებელი მაინც ისაა, რომ ექიმს შეუძლია, უმოკლეს ვადაში მოიპოვოს ინფორმაცია როგორც მოცემული დაავადების მკურნალობის თანამედროვე მეთოდების შესახებ, ისე საერთო განათლებისთვის. ასეთი საინფორმაციო სისტემა სიახლეა ჩვენთან, თორემ განვითარებული ქვეყნებისთვის ჩვეულებრივი ამბავია. საქართველოში პირველი პრეცედენტი შედგა, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერავინ ამბობს, როდის დაინერგება იგი ჯანდაცვის მთელ სისტემაში.

სისტემის შესახებ ვესაუბრეთ კლინიკის დირექტორს ირაკლი სასანიას.

- როგორ გაჩნდა იდეა?

- თანამედროვე მედიცინაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის სწრაფად მიღებას, დამუშავებას და მის სწორად გამოყენებას გადაწყვეტილების მისაღებად.

არსებობს გაანგარიშება: ექიმმა რომ თანამედროვე დონე შეინარჩუნოს, დღეში 15-18 სტატია უნდა წაიკითხოს. ცხადია, ამას ვერავინ ახერხებს, ამიტომ არსებობს ინფორმაციის სრული, უკვე დამუშავებული ვერსიები - სწორი გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო დამხმარე სისტემები, რისი გამოყენებაც ექიმს ყოველთვის შეუძლია კომპიუტერული ინფორმაციის სახით.

- ვისი შედგენილია ეს პროგრამა?

- პროგრამა ჩვენ შევქმენით, იმიტომ რომ ამერიკელებმა ამისთვის 2 მილიონი დოლარი მოითხოვეს. მოვნახეთ სათანადო დონის პროგრამისტები და გავაკეთეთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მთლიანად ქართული პროგრამა, რომელიც ძალიან პრაქტიკულია და უკვე მზადაა ექსპლუატაციისთვის. მისი გამოყენება ყველა სამედიცინო დაწესებულებას შეუძლია. თვეზე მეტია, ჩვენ ამ პროგრამით ვმუშაობთ და ძალიან კმაყოფილებიც ვართ.

- რა ეღირება პროგრამის ყიდვა?

- ჯერ ფასი განსაზღვრული არ არის. მალე მოვაწყობთ პროგრამის პრეზენტაციას და დაინტერესებულ პირებს მაქსიმალურ ინფორმაციას მივაწვდით.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის იაგო კალანდაძის განცხადებით, სამინისტრო ამ პროგრამას რეკომენდაციას გაუწევს, მაგრამ სამედიცინო დაწესებულებებს მის შეძენაში ვერ დაეხმარება. ამიტომ პროგრამის დანერგვა მთლიანად კლინიკის ხელმძღვანელობაზე იქნება დამოკიდებული.

ასოციაცია ჩივილს აპირებს

მიწის მესაკუთრეთა ასოციაცია სახელმწიფო უწყებებს მიწის მესაკუთრეთა უფლებების უხეშ დარღვევაში ადანაშაულებს. ასოციაციის დირექტორის, ჯაბა ებანოიძის განცხადებით, მათ ქრთამის აღების უამრავი ფაქტი აქვთ გამოვლენილი. ასოციაცია აპირებს, უჩივლოს ქუთაისის მერიას, რომელმაც სააქციო საზოგადოება "საქაბრეშუმის" კერძო საკუთრებაში არსებული მიწა იქვე მდებარე მუზეუმს გადასცა.

ინტერ-პრესი

"ხორუმი" ჯავახეთში

ნინო ჩერქეზიშვილი

საქველმოქმედო ორგანიზაცია "ჯავახეთის" ხელშეწყობით, თსუ-ის ანსამბლი "ხორუმი" სამი დღის განმავლობაში ჯავახეთის ქართულ სოფლებში კონცერტებს მართავდა. ანსამბლმა ოკამის, პტენის, აზმანისა და გოგაშენის მოსახლეობა ქართულ ფოლკლორს აზიარა. ახალქალაქის რაიონის ბინადარნი ველარც კი იხსენებდნენ, უკანასკნელად კონცერტი რამდენი წლის წინათ ნახეს. კლუბების არარსებობის გამო, "ხორუმი" ღია ცის ქვეშ ასრულებდა იავნანას, დაისს, კარკუჭს, ხორუმს, მრავალჟამიერს... მსმენელები კი თვალცრემლიანები სთხოვდნენ მათ კიდევ ერთი საკონცერტო ნომრის შესრულებას. კონცერტის შემდეგ ცრემლიანი შეხვედრები გრძელდებოდა, ოღონდ როლები შეიცვალა. ხალხი ლაპარაკობდა, ჩვენ ვტიროდით.

კონცერტი სოფლის სკოლის წინ

"ჯავახეთი საქართველოს მოწყვეტილია. გარდა იმისა, რომ სატრანსპორტო გზა ძლიერ დაზიანებულია, აქამდე არ აღწევს ქართულ ჟურნალ-გაზეთები, ტელე-რადიო არხები. ყოველ ორშაბათს 15 წუთის განმავლობაში რადიო პრეზიდენტის რადიოინტერვიუს გადმოსცემს, ხარვეზებით ფუნქციონირებს საქართველოს ტელევიზიის I არხი, ახლახან "იმედი" ჩაირთო", - ჰყვება სოფელ აზმანის კოოპერაციული მეურნეობის დირექტორი, მიშა ნათენაძე.

სოფლებში მხოლოდ სკოლები ფუნქციონირებს, თუმცა დიდი ნაწილი ავარიულ მდგომარეობაშია. **"სოფელ ოკამის საშუალო სკოლაში 130 მოსწავლეა. ცალკეა ქართული და სომხური სექტორები. ქართულ სექტორში 100 ბავშვია, მაგრამ მათ მხოლოდ 9 საკლასო ოთახი აქვთ, ორი საკლასო ოთახი კი ვაგონშია განთავსებული. შენობა ავარიულ მდგომარეობაშია - ჩამონგრეული ჭერი და დამტვრეული იატაკი, მოძველებული დაფები. პირველ კლასში ერთი დაფა გვაქვს. ყოველ გაკვეთილზე ბავშვების ხელით ვუხაზავ რიცხვებისა თუ ასოებისთვის უჯრებს. 10 წელიწადია არანაირი სასკოლო ინვენტარი არ მიგვიღია. ჩვენს ბავშვებს გაყინულ და დანგრეულ შენობაში უტარდებათ გაკვეთილები. არავის ვახსოვართ, არ აინტერესებთ სოფლის არსებობა. ათასში ერთხელ ახალქალაქის რაიონის განათლების მეთოდისტი, შალვა ოქრუაძე შემოგვივლის, იმედიან სიტყვას დაგვიტოვებს და წავა. სოფლის ახალგაზრდობა არაფრით არის დაკავებული. ცდილობენ, ასეთ ყოფას თავი დააღწიონ, მაგრამ ვინც თსუ-ის ახალციხის ფილიალი დაამთავრა, სოფელში ისევ მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევა. მოსწავლეებს თუ რაიმე საოჯახო საქმე აქვთ გასაკეთებელი, მაგალითად, ჭურჭელი დასარეცხი, ან მიწა გასათოხნი, მშობელი იმ დღეს სკოლაში არ გამოუშვებს"**, - ჩივის ოკამის სკოლის პედაგოგი, მარინე ფანჯიკიძე.

ჯავახეთში ზამთარი შვიდ თვეს გრძელდება და გათბობის საკითხიც მწვავედ დგას; შეშა ძვირია. სოფელ ოკამის მოსახლეობა ტყის ქარსაფარის ზოლს მისდგომია და ქარსაფარის ხეებს საწვავად იყენებს. ჯავახეთის სოფლებში სასმელი და სარწყავი წყალიც პრობლემაა. სასმელი წყალი ეკოლოგიურად დაბინძურებულია - ადვილი შესაძლებელია, ადამიანი დააავადოს; სოფლებში კი არ არსებობს არანაირი სამედიცინო დაწესებულება, ანდა ოთახი, სადაც დაზარალებულებს პირველად დახმარებას გაუწევენ. ოფიციალურად, ყველა სოფელს ექიმი ჰყავს, თუმცა სოფლელები სხვას ამბობენ. **"სოფლის ექიმს არ ვიცნობ, ჩვენთან ავადმყოფებს ექთნები მკურნალობენ"**, - აღნიშნავს მარინე ფანჯიკიძე.

პარადოქსია, მაგრამ ჯავახეთის სოფლებში მიწები ისეთ ხალხს ეკუთვნის, სოფლის სახელიც რომ არ იციან. **"სახნავ-სათესი მიწები უკანონოდ არის განაწილებული, ძირითადად, ისეთ ხალხზე, ამ სოფელს რომ არ იცნობენ"**, - ამბობს სოფელ გოგაშენის საკრებულოს თავმჯდომარე, დავით ნათენაძე. ჯავახეთში მიწა თუ დროზე ვერ დაამუშავე, მოსავალს ვერ მიიღებ, არანაირი ტექნიკა აქ არ არის, ამიტომ მოსახლეობა იძულებული იყო, ადგილები გაეჭალებინათ. აქ უამრავი პრობლემაა და მაგრამ მათ მოგვარებაში ხალხს არავინ ეხმარება. ჯავახეთის მოსახლეობა გულდაწყვეტილია, რომ ისინი მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ და, ტრადიციულად, მათაც ყალბი დაპირებებით აიმედებენ.

თბილისში რუსული წარმოების ახალი ავტობუსები იმოძრავებს

ქალაქის ტრანსპორტის მართვისა და რეგულირების სამსახური დაპირებას მალე შეასრულებს და თბილისის ქუჩებში სულ მალე ახალთ-ახალი საშუალო ტევადობის ავტობუსები იმოძრავებს.

ადრე მერია იტალიასა და გერმანიასთან აპირებდა მოლაპარაკებას, მაგრამ ახლა გეგმები შეიცვალა და ავტობუსებს რუსეთიდან შემოიყვანენ. "იტალია და გერმანია ნახმარ ავტობუსებს გვთავაზობდნენ. ახალი ავტობუსები იქ ძალიან ძვირი ღირს. ამიტომ რუსეთი ვარჩიეთ, ტრანსპორტის ამ ქვეყნებიდან შემოტანა ბევრად იაფი დაგვიჯდება, თანაც, შეიძლება თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდაზეც დავთანხმდნენ", - აცხადებს ტრანსპორტის მართვისა და რეგულირების სამსახური. როგორც მერია ირწმუნება, ახალი ავტობუსები მოხერხებული და კომფორტული იქნება, თანაც მგზავრობა კვლავ 20 თეთრი ეღირება.

24 საათი

ფოსტა

ძაღლი თუ ადამიანი?

მიუხედავად მრავალწლიანი საუბრებისა, მაწანწალა ცხოველებისა და, შესაბამისად, ცოფით დაავადების პრობლემა ჩვენს ქვეყანაში ისევ მწვავედ დგას. სწორედ ამ პრობლემებთან დაკავშირებით მომართეს რედაქციას დარგის სპეციალისტებმა.

მაწანწალა და მოხეტიალე ცხოველებზე პრესაში ბევრი დაიწერა, მაგრამ მათი საკითხის გადაწყვეტა,თანამედროვე პირობებშიც კი, არ ან ვერ მოხერხდა. ცოფი, როგორც დაავადება, მრავალი საუკუნეა ცნობილია. არა ერთი და ორი გამოჩენილი მეცნიერი იმტვრევდა თავს მის განეიტრალებაზე. ბოლოს მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ცოფის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭიროა ცხოვრებაში ხუთი ძირითადი ელემენტის გატარება: 1. ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა; 2. მოსახლეობის სანიტარიული განათლება და მისი აქტიური მონაწილეობა ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებებში; 3. იმუნიზაცია; 4. ბრძოლა მაწანწალა ძაღლებთან; 5. ზემოთ აღნიშნულის ორგანიზაცია და განხორციელება. მეცნიერები ასევე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, ცოფთან ბრძოლის პროგრამის ფარგლებში, "მაწანწალა ძაღლები შეიძლება დაიხოცოს, მიუხედავად მოსახლეობის წინააღმდეგობისა" (ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ბიულეტენი). ასეთი აუცილებლობა დგება ყოველთვის, როდესაც ვდგევართ არჩევანის წინაშე: რა სჯობია - ჯანმრთელი თაობა გვყავდეს თუ ძაღლები?

თბილისში დაკბენილი მოსახლეობის რიცხვმა საგრძნობლად იმატა. მატულობს, ასევე, მომართვიანობა რაიონებიდან. უკანასკნელ ხუთ წელიწადში დედაქალაქში დაკბენილ ადამიანთა რაოდენობა 2,5-ჯერ, ვაქცინირებულთა რიცხვი კი 3,7-ჯერ გაიზარდა. მატულობს ალერგიული ფონიც. დაკბენილთა რაოდენობა განსაკუთრებით იზრდება ქალაქის პერიფერიებში: გლდანი-ნაძალადევის რაიონში მაჩვენებელი 33 პროცენტს შეადგენს, ისანი-სამგორის რაიონში – 4 პროცენტს. დაკბენილთა შორის 39 პროცენტი ბავშვია. მათი აცრა არა მარტო სერიოზულ თანხებთან არის დაკავშირებული, ორგანიზმში შეგვყავს უცხო ცილა, რომელიც შემდგომში იწვევს სხვადასხვა გართულებას. მაწანწალა ცხოველები საშიშია იმითაც, რომ აბინძურებენ ქუჩებს და ჩვენ მუდმივად ვდგავართ ოჯახებში უამრავი დაავადების ფეხსაცმლის საშუალებით შეტანის საშიშროების წინაშე.

ერთ საკითხზეც გვინდა საზოგადოების ყურადღება გავამახვილოთ. საგაზეთო სტატიებსა თუ სატელევიზიო სიუჟეტებში ცოფის აცრებთან დაკავშირებით ერთთავად ექიმების ლანძღვა-გინებაა. რატომ? ნუთუ არ მოგწყინდათ ჩვენი ლანძღვა? აცრები უფასოა და უფასო იქნება, ოღონდ გვაღირსონ დროზე ის მინიმალური ხელფასი, რაც ამაში გვიხდიან! ამ და სხვა მიზეზების გამო, მოვითხოვთ, ჩატარდეს იმ პასუხისმგებელი პირების შეკრება, ვინც ცოფთან ბრძოლის ყველა საჭირო საკითხს გადაწყვეტს.

გ. კურტანიძე
რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ,
თბილისის მთავარი რაბიოლოგი
გ. მელიქიძე
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

ნამდვილი ამბავი

შამბეს ოჯახი

შამბეს მრავალშვილიანი ოჯახი თბილისში ჩიტაიას ქუჩაზე იტალიურ ეზოში ცხოვრობს. ოჯახის უფროსი წარმოშობით არაბია. როგორც თავად მიამბო, "პაპამისი ირანიდან წამოიყვანეს- მეფის ოჯახიდან. მავრი იყო. სტალინმა მანქანაც აჩუქა, დეპუტატიც იყო. ბოლოს მეხანძრედ მუშაობდა მუშტაედის პარკში". მავრის შთამომავლებს ბინა მეორე სართულზე დაუდიათ. ხის კიბეებზე სახელდახელოდ დაგებულ ფიცრებზე გადაბიჯებით აივანს გაუყვებით ხელმარცხნივ და მათ ბინაში მოხვდებით. ის ერთი უფანჯრო ოთახისა და როგორც დიასახლისმა, მარინა ივანოვმა დაარქვა, სამზარეულოსგან შედგება. სამზარეულო დაძონძილი ფარდით შემოფარგლული ბნელი პატარა კუთხეა, სხვადასხვა ზომის ფუთებით გამოტენილი. ბინაში ტუალეტი არ არის, არც წყალია გაყვანილი. ოთახიც ფუთებითაა გატენილი. ავეჯიდან მრგვალი მაგიდა, ორი სკამი, და ორი ტახტი დგას. მაგიდაზე დაფენილ გაზეთზე დაშლილი ტელევიზორი და უწესრიგოდ მიყრილი ხელსაწყოები დევს. ოთახში შესულს პირველ რიგში კედელთან ტახტზე თავზე ადიალაგადაფარებული ადამიანის სხეული მომხვდა თვალში. რამდენიმე წუთში ადიალა ჩამოიწია, მამაკაცის სახე გამოჩნდა,. ეს ოჯახის უფროსი, კოლია შამბე აღმოჩნდა. ოთახში დაბალი ელექტროქურაც დგას, რაზეც მარინა ივანოვი შვილებისათვის ფაფას და კარტოფილს ხარშავს შაბათ-კვირაობით. კვირის დანარჩენ დღეებში სასადილოდან ამოაქვს საკვები. როგორც მარინა ყვება, 2 წლის წინ გამგეობაში იყო, აუხსნა მდგომარეობა და ტალონები მისცეს. მას მერე გამზადებული საკვები სასადილოდან დღეში ერთხელ მოაქვს.

ოთახში ჩახუთული მძაფრი სუნი დგა - სინესტის და ჭუჭყის. ჭერი ალაგ-ალაგ ჩამონგრეულია. როგორც მარინა ამბობს, "მანქანა რომ გაივლის ყველაფერი ქანაობს, ბავშვებს ეშინიათ, ისევ მიწისძვრა დაიწყებაო და გარეთ გარბიან. მეხუთე შვილი მიწისძვრის მერე რამდენიმე დღეში მოკვდა. იქამდე ავად იყო, საშუალება არ მქონდა, რომ მემკურნალა. ექიმებმა თქვეს ფილტვების ანთებით გარდაიცვალაო. თიკა რომ არ ყოფილიყო, მეორე ბავშვიც მომიკვდებოდა. საავადმყოფოში მან მომიტანა წამლები, მთელი ოჯახი მისი მადლობელი ვართ".

თიკა ციციშვილმა მარინა და მისი შვილი ბავშვთა პედიატრიულ კლინიკაში გაიცნო, სადაც ის საავადმყოფოში ჩვილ ბავშვთა სახლიდან სამკურნალოდ გადაყვანილ პატარებს უანგაროდ უვლის და პატრონობს. "ძალიან კარგი ხალხია, მარინა წარმოშობით რუსია, მაგრამ გაქართველებულია. მისი ქმარი კარგი ხელოსანი იყო. ტელევიზორებს და მაგნიტოფონებს აკეთებდა. ამით ცხოვრობდნენ. ორი წლის წინათ მარჯვენა ხელი დაუზიანდა. ოთხი შვილი ჰყავთ, ძალიან უჭირთ." ჰყვება თიკა.

როგორც მარინა ამბობს, "კოლიასთვის ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ. ექიმებმა 1200 ლარი მთხოვეს., როგორც მრავალშვილიანისათვის შეღავათი არაფერი გამოჩნდა ასეთი თანხა არ გვქონდა. გატეხილი ძვალი არ შეხორცდა. ახლა ხელი ჩამოკიდებული აქვს, ვერ ხმარობს. ხანდახან ცალი ხელით აკეთებს რაღაცას, ხან მე და ხან ჩემი უფროსი შვილი ვეხმარებით, მეორე ხელის მაგივრობას ვუწევთ".

"ბიჭი 14 წლისაა სკოლაში სწავლობს, სანამ მათემატიკას და ფიზიკას არ ისწავლის, ტელევიზორის გაკეთებას ვერ შეძლებს, თითქოს ნიშნისმოგებით, საუბარში ერთვება კოლია შამბე.

ამჟამად ოჯახი თითო ბავშვზე ხუთ ლარ დახმარებას ღებულობს სულ 20 ლარი გამოდის. დანარჩენი შემოსავალი ის ფულია, რომელსაც უფროსი შვილი "შოულობს": "ხან სანთლებს ყიდის, ხან ხატებს. ზოგი არ ყიდულობს და ისე ჩუქნის ფულს. გააჩნია დღეს - ხან ხუთ ლარს აკეთებს დღეში, ხან ოთხს. ბიჭი 7-დან 12 საათამდე მუშაობს. ხანდახან პურის ფული არ მაქვს, მეზობლებს ვეხვეწები, აბა რა ვქნა, ბავშვებს ასე ხომ არ დავტოვებ, ზოგიერთი მეზობელი მეხმარება ერთ თეფშ სჭმელს შემომიტანენ," - ამბობს მარინა.

ამ დროს შუათანა ვიტალიკა ტირილს იწყებს. "კბილი ტკივა, საერთოდ კბილები უვარდება. გუშინ ღრძილებიდან სისხლი მოსდიოდა. წამალს ვაძლევ, ანალგინს ან ნოშპას. მკურნალობისათვის ვერ მივდივარ იმიტომ, რომ ფასიანია - ამბობს მარინა. ბავშვს ყბა მართლაც შესიებული აქვს, პირის გაღებისას მოუჩანს ჩამსხვრეული და გაშავებული წინა კბილები. "ვიტამინები აკლია", მიხსნის მარინა. ბაღში მინდოდა ამის მიყვანა ვერ მოვახერხე, რადგანაც ჯანმრთელობის ცნობა უნდა წარმედგინა, რომელშიც ექიმმა 10 ლარი მთხოვა. არ მქონდა".

შამბეს ოჯახი დახმარების იმედს არ კარგავს თუმცა მარინა ზუსტად ვერ ასახელებს რა სჭირდება.. "20-20 ლარი თითო ბავშვზე მეყოფოდა. მაგრამ 20 ლარი ოთხ ბავშვზე ძნელია.. კვირის განმავლობაში ძლივს მყოფნის, ტანსაცმელიც ხომ უნდათ," ხმამაღლა ანგარიშობს. მომავალი გეგმები კი ასეთი აქვს: "5 ლარი უნდა გადავიხადო, რომ მრავალშვილიანობის წიგნაკი ავიღო, მერე განცხადებას დავწერ დახმარებისათვის, ასე მირჩიეს. "

ასოციაცია საფეხურები

მოკლედ

გიგა გელაშვილის დაცვას ომბუდსმენისგან ითხოვენ

ყოფილი "მხედრიონელები" მათი ერთ-ერთი ლიდერის გიგა გელაშვილის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ისრაელში სავიზო რეჟიმის დარღვევის, დოკუმენტების გაყალბებისა და პოლიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებითაა დაკავებული, დახმარებისათვის სახალხო დამცველს ნანა დევდარიანს მიმართავენ.

ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის დოდო გუგეშაშვილის თქმით, "მხედრიონელებმა" სახალხო დამცველისადმი ოფიციალური მიმართვა შეიმუშავეს, რომლითაც ითხოვენ ომბუდსმენმა, გელაშვილის დახმარების მიზნით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიმართოს ისრაელის შესაბამის ორგანოებს, ვინაიდან ამ ქვეყანაში დაკავებულის უდანაშაულობის პრეზუმფცია უხეშად დაარღვიეს, როცა სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაკავებული გელაშვილის შესახებ პრესას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ იგი მკვლელობის შეკვეთაშია ეჭვმიტანილი.

პრაიმ-ნიუსი.

გელაევის რაზმის წევრს ხანგრძლივი პატიმრობა ელის

ჩეჩნეთის უზენაესი სასამართლო შეუდგა გელაევის ბანდის წევრებად მონათლულ ჩეჩენ მებრძოლთა გასამართლებას. საუბარია, 2002 წლის სექტემბერში ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე მომხდარი შეტაკებების მონაწილეებზე, რომლის დროსაც რუსეთის ჯარების ორი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, ოთხი ადგილობრივი მაცხოვრებელი მძევლად აიყვანეს. რუსული საინფორმაციო საშუალებები რუს ძალოვანთა ინფორმაციაზე დაყრდნობით, ავრცელებდნენ ცნობებს, რომ საქმე ჰქონდათ რუსლან გელაევთან და მისი ბანდის წევრებთან, რომლებმაც რუსეთ-საქართველოს საზღვარი გადალახეს და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ცდილობდნენ შეჭრას.

ამჟამად ვლადიკავკაზში, ჩრდილოეთ ოსეთის უზენაეს სასამართლოში დასასრულს უახლოვდება გელაევის რაზმის ერთ-ერთი წევრის, 24 წლის ჯამალაი ალიევის საქმის განხილვა. მას რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მთელი რიგი მუხლებით აქვს ბრალი წაყენებული, მათ შორის რუსეთის კონსტიტუციური წყობის შეიარაღებული აჯანყების გზით შეცვლის მცდელობაში. სახელმწიფო ბრალმდებელმა მისთვის 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

ლატვია კობზონს უფრთხის

ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრმა მარის გულბისმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც რუსი მომღერალი და დეპუტატი იოსებ კობზონი "შავ სიაშია" შეყვანილი და მას გაურკვეველი ვადით ლატვიაში ჩასვლა ეკრძალება. ასეთი რადიკალური ზომების მიღების ოფიციალურ მიზეზად "სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნა" სახელდება.

უკანასკნელად კობზონი ლატვიაში 9 მაისს გახლდათ ჩასული რუსეთის საელჩოს მიერ ორგანიზებულ, გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობის მისრებად. ახლა კი მიწვეული იყო მუსიკალურ ფესტივალ "ახალ ტალღაზე", რომელიც იურმალაში 30 ივლისს გაიხსნება.

პოლიციელის შეურაცხყოფა უმძიმესი დანაშაული

ამერიკის მოქალაქეს, რომელმაც პოლიციელს სახეში შეაფურთხა, სამუდამო პატიმრობა ელის – ასე გადაწყვიტა ოკლაჰომას შტატის სასამართლომ.

ჯონ კარლ მარკეზი საკუთარი ცოლის ცემისთვის დააკავეს, რისთვისაც მას ერთწლიანი პატიმრობა და 3 ათასი დოლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა ელოდა. მაგრამ დაკავებისას პოლიციელისთვის სახეში შეფურთხება აშკარად ძვირად დაუჯდა – ამერიკის კანონმდებლობის თანახმად, ეს სახელმწიფო მოსამსახურის მომაკვდინებელი დაავადების გადადების მცდელობას ნიშნავს და მაქსიმალური სასჯელი ამ დანაშაულისთვის სამუდამო პატიმრობაა.

მარკეზთან მიმართებაში სასამართლომ მხოლოდ ის გაითვალისწინა, რომ იგი წარსულში მრავალჯერ ნასამართლევია და ყურადღება არ მიუქცევია იმ ფაქტისთვის, რომ მარკეზიცა და დაზარალებული პოლიციელიც აბსოლუტურად ჯანმრთელები არიან.

ავღანეთში სიმღერის უფლებისთვის იბრძვიან

ავღანელი ქალი

მართალია, ავღანეთში თალიბების რეჟიმის დამხობიდან 18 თვე გავიდა, მაგრამ ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქალებს კვლავ უამრავი შეზღუდვა აქვთ დაწესებული. ერთ-ერთია ტელევიზით, რადიოთი ან სხვა ადამიანების თანდასწრებით სიმღერის უფლების აკრძალვა.

"ვერ გამიგია, რატომ არ შეიძლება ჩემი სიმღერის ჩაწერა", - დაიჩივლა ერთ-ერთმა ავღანელმა ახალგაზრდა ქალმა "ბი-ბი-სის" ჟურნალისტთან. მას უფლება აქვს, ქაბულის მუსიკალურ სკოლაში იმღეროს, მაგრამ სკოლის შესასვლელთან შეიარაღებული დაცვა დგას, რათა რომელიმე ექსტრემისტმა მომღერალ ქალებს წესი არ აუგოს.

"ასე მგონია, რომ კვლავ ყველაფერზე პასუხისმგებლები ადრე ხელისუფლებაში მყოფი პირები არიან", - აღნიშნა ავღანელმა ქალმა სამინმა. "თუმცა, ჩემს თავს მუდამ იმას ვუმეორებ, რომ ბრძოლის გაგრძელება აუცილებელია".

რაც უფრო დაშორებულია პროვინცია დედაქალაქ ქაბულიდან, მით უფრო უარესდება ქალთა მდგომარეობა.

პაკისტანის მოსაზღვრე შინვარის პროვინცია ოპიუმის კონტრაბანდითა და ქალების ვაჭრობით არის ცნობილი.

"მე ათი წლის წინ გამყიდა ქმარმა, როდესაც უკვე სამი შვილი გვყავდა, რადგან მას მეორე ცოლის მოყვანა მოუნდა", - აღნიშნა ერთმა ქალმა დასავლელ ჟურნალისტებთან საუბრისას. "თავის დროზე ჩვენ ერთად ვიზრდებოდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამყიდა, შვილების ნახვის უფლებასაც აღარ მაძლევს".

შინვარში ქალის ფასი, საშუალოდ, 3000 ამერიკული დოლარია. ქმრები ცოლებს ან ფულის საშოვნელად, ან დასჯის მიზნით ყიდიან.

ერთი ქალი, რომელმაც სახლიდან გაქცევა მოინდომა, დაიჭირეს და ძმის სახლში დააბრუნეს. იქ კი ქალი სამაგალითოდ დასაჯეს: ჯერ ცხელი წყლით დამდუღრეს, შემდეგ თოკით მანქანას გამოაბეს და უდაბნოში ათრიეს, მერე კი ტყვიით მოუღეს ბოლო.

ავღანეთის ქალთა სამინისტრო ბევრს ვერაფერს აკეთებს, რადგან მისი ხელისუფლება ქაბულს ძლივს სცდება. საერთაშორისო დონორებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების დახმარებით, სამინისტრო ცდილობს, ქალებს განათლების მიღებასა და საკუთარი უფლებების დაცვაში დაეხმაროს. ჯერჯერობით, ძალიან მცირე პროგრესია. "ავღანეთში მხოლოდ ქალების კი არა, კაცების განათლებაც საჭიროა", - აღნიშნავს ქალთა საქმეების მინისტრი ჰაბი სერაბი.

ერაყში თურქი ჯარისკაცები დააპატიმრეს

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოგანმა აშშ-ის სამხედროების მიერ ერაყში დაპატიმრებული 11 თურქი ჯარისკაცის დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა. **"სამარცხვინო ინციდენტია. ეს არ უნდა მომხდარიყო,"** - განაცხადა ერდოგანმა. თურქეთის მედიის ცნობით, პარასკევს ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა ერაყის ქალაქ სულეიმანიაში თერთმეტი თურქი ჯარისკაცი დააპატიმრეს. დაკავებულებს ბრალად ედებათ რეგიონის გუბერნატორზე თავდასხმის დაგეგმვა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა გული უკვე დაუკავშირდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს და ვითარების განმუხტვა და დაპატიმრებული თურქი ჯარისკაცების გათავისუფლება სთხოვა. აშშ-ის რეაქცია ჯერჯერობით უცნობია.

კამიკაძე ქალებმა მოსკოვის აეროპორტში ტერაქტი განახორციელეს

ტერაქტის ადგილი

გუშინ პოდმოსკოვიეს აეროდრომ "ტუშინოში," სადაც როკ-ფესტივალი "ფრთები" მიმდინარეობდა, ორმა კამიკაძე-ტერორისტმა ქალმა თავი აიფეთქა, რის შედეგადაც, სამართალდამცავთა ცნობით, სულ ცოტა, 16 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ოცდაათამდე დაიჭრა. რუსულმა მედიამ, ექიმებზე დაყრდნობით, 20 დაღუპულის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. სხვადასხვა საერთაშორისო სააგენტოს ცნობით, დაღუპულთა რაოდენობა 18-20-ს შორის მერყეობს.

სააგენტო ინტერფაქსის ცნობით, ტერორისტი ქალები როკ-კონცერტზე შესვლას შეეცადნენ, მაგრამ მილიციის თანამშრომლებმა მათ ამის ნება არ მისცეს. ამის შემდეგ ერთ-ერთმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა. რამდენიმე წუთში კი მეორე აფეთქების ხმაც გაისმა. თითოეული ასაფეთქებელი მოწყობილობა, წინასწარი მონაცემებით, სულ ცოტა, 500 გრამ ტროტილს შეიცავდა. ფესტივალზე დასასწრებად მისული 40 ათასამდე მაყურებელი პანიკამ მოიცვა. როგორც გაირკვა, ერთი აფეთქება აეროდრომის შესასვლელთან მოხდა, ხოლო მეორე - ტუშინოს ბაზარში.

ტერაქტს უკვე გამოეხმაურა ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის წარმომადგენელი რუსეთში სალამბეკ მაიგოვი. **"ძალზე ძნელია ასეთი ტრაგედიის კომენტირება, განსაკუთრებით მოსკოვში. მიუხედავად ამისა, მე ვაცხადებ, რომ იჩქერიის ხელმძღვანელობას ამ ფაქტთან არავითარი კავშირი არა აქვს,"** - განაცხადა რადიო-სადგურ "ეხო მოსკვის" ეთერში მასხადოვის სპეცწარმომადგენელმა მაიგოვმა. ამასთან, ის იმედოვნებს, რომ რუსეთის ხელისუფლება ამაში ეჭვს არ შეიტანს, რადგან **"ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მთელი საომარი მოქმედების მანძილზე პრეზიდენტი მასხადოვი და იჩქერიის ყველა ხელმძღვანელი ყოველთვის აცხადებდნენ, რომ მოქმედების ასეთი ფორმები მათთვის მიუღებელია,"** - დასძინა მაიგოვმა.

ჯოჯოხეთი გვინეის უბეში

ლიბერიის პრეზიდენტი ჩარლზ ტეილორი - რეგიონის კატასტროფის შემოქმედი.

დასავლეთ აფრიკაში, გვინეის უბის სანაპიროზე მდებარე სახელმწიფოებში წლების განმავლობაში სისხლისმღვრელი ომები მიმდინარეობს. აშშ ლიბერიაში სამშვიდობოების გაგზავნის შესაძლებლობას განიხილავს. რეგიონის სახელმწიფოთა კონფლიქტები კი ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული და ისინი კომპლექსურად უნდა მოგვარდეს.

გასულ კვირას ლიბერიელებმა დედაქალაქ მონროვიაში, აშშ-ის საელჩოს მახლობლად, 18 თანამემამულის გვამი დამარხეს. შემდეგ კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ყვირილი დაიწყეს: "ჯორჯ ბუშ, იხსენი ლიბერია!"

ამერიკას ლიბერიასთან დიდი ხნის კავშირი აქვს. ლიბერია 1847 წელს ამერიკაში გათავისუფლებულმა მონებმა დააარსეს.

ლიბერიაში სახელისუფლო ძალებსა და აჯანყებულებს შორის სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობს. აჯანყებულებმა უკვე ორჯერ მიიტანეს იერიში ლიბერიის დედაქალაქზე, რასაც 1000-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მთელი ქვეყნიდან გახიზნული ათიათასობით ადამიანი დედაქალაქში, ფეხბურთის სტადიონებზე ცხოვრობს. დასავლური ჰუმანიტარული ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა უკვე დატოვა ლიბერია, რადგან იქ უსაფრთხოება ოდნავაც კი არ არის უზრუნველყოფილი. მთელ ქვეყანაში ქოლერა მძვინვარებს.

მალე დაიწყება პრეზიდენტ ბუშის ოფიციალური ვიზიტი აფრიკის სახელმწიფოებში, მაგრამ მათ რიცხვში, რასაკვირველია, არ შედის ლიბერია. ამერიკის პრეზიდენტი კონტინენტის მხოლოდ ორ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს – სამხრეთ აფრიკასა და ნიგერიას მოინახულებს. სავარაუდოდ, კიდევ სამ შედარებით განვითარებულ ქვეყანასაც (სენეგალი, უგანდა და ბოტსვანა) ეწვევა. თუმცა, ამერიკულ პრესაში რეგულარულად ჩდება ცნობები, რომ წესრიგის აღსადგენად ამერიკა ლიბერიაში აუცილებლად გაგზავნის სამშვიდობებს.

ჯორჯ ბუში მაინც ყოყმანობს. ეს გასაგებია. ამერიკელი სამხედროების გაგზავნა ომის ქარცეცხლში მოსალოდნელ მსხვერპლთან არის დაკავშირებული, რაც მოახლოებული არჩევნების წინ არცთუ ისე მომგებიანი იქნება. ამას გარდა, თავად ლიბერია რესურსებით მდიდარი ქვეყანა არ არის, რომ ვაშინგტონს სტიმული ჰქონდეს. თუმცა, ლიბერია ალმასითა და ნავთობით მდიდარ სახელმწიფოებს ესაზღვრება და რეგიონში კონფლიქტებისა და არასტაბილურობის ერთ-ერთი წყაროა.

ამ ბოლო დროს მსოფლიო პრესაში სულ უფრო ხშირად იწერება დასავლეთ აფრიკაში მიმდინარე სამოქალაქო ომების შესახებ. ივლისში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა ლიბერია, რამდენიმე თვის წინ იყო კოტ დ'იუარი, მის წინ - გვინეა და სიერა ლეონე. რეალურად, ეს ომები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და საერთო მიდგომის გარეშე მათი მოგვარება, პრაქტიკულად, გამორიცხულია.

ლიბერიის არასტაბილურობა ემუქრება სიერა ლეონეს, რომელიც ომის მძიმე შედეგებიდან თავის დაღწევას ცდილობს. ამ ომში კი, დიდწილად, ლიბერიის პრეზიდენტი ჩარლზ ტეილორია დამნაშავე. გვინეაში აჯანყებულებს ასევე ტეილორი უჭერდა მხარს. მართალია, გვინეის პრეზიდენტმა მათი დამარცხება მოახერხა, მაგრამ ქვეყანაში აღმავლობა არ დაწყებულა. რაც ყველაზე მთავარია, ლიბერიელები კოტ დ'იუარში ორივე დაპირისპირებული მხარის სასარგებლოდ იბრძოდნენ. არადა, კოტ დ'იუარს ყველაზე უფრო განვითარებული ეკონომიკა აქვს დასავლეთ აფრიკაში. თავის მხრივ, კოტ დ'იუარში არეულობა საფრთხეს უქმნის მოსაზღვრე ბურკინა ფასოს, მალისა და ნიგერის სტაბილურობას.

საერთო ჯამში, დასავლეთაფრიკული კონფლიქტები ერთ-ერთი ყველაზე საზარელია მთელ მსოფლიოში. რეგიონში მიმდინარე ომებს, დაახლოებით, ნახევარი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. სწორედ ამიტომ ჯორჯ ბუშს შეიარაღებული ძალების გაგზავნას ეხვეწება არამარტო ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და გაერო.

რეგიონული კატასტროფის შემოქმედი ტეილორი

რამდენიმე დღის წინ ჯორჯ ბუშმა ტეილორს გადადგომისკენ მოუწოდა. მისი თქმით, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ამერიკული ჯარები რეგიონში გაგზავნოს. რამდენიმედღიანი უარის შემდეგ, ლიბერიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არის, გადადგეს, თუ ამერიკული ჯარები დაუყოვნებლივ გაიგზავნება რეგიონში.

ტეილორს თანამდებობის დატოვების ძალიან ეშინია. სიერა ლეონეში ომის გაჩაღებისა და უდანაშაულო ადამიანების დახოცვისთვის მას საერთაშორისო ტრიბუნალი ელის.

პერსპექტივა არც სამშობლოშია შესაშური. შეიარაღებული დაჯგუფება "შერიგებისა და დემოკრატიისთვის გაერთიანებული ლიბერიელები" და "დემოკრატიული მოძრაობა ლიბერიაში" ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს აკონტროლებენ. ტეილორის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარისკაცები, არასრულწლოვანი ბიჭები და გოგონები, ბრძოლის ნაცვლად, მოსახლეობის ძარცვით არიან გართულნი. ისინი უკვე შინაურ ცხოველებსაც დაერივნენ - ძაღლებისა და კატების შეჭმას ცდილობენ.

ტეილორი პირველად ხელისუფლებაში მოვიდა 1989 წელს, როდესაც აღმოსავლეთ ლიბერიის დაკავება ლიბიაში გაწვრთნილი პარტიზანების მეშვეობით შეძლო. მართალია, განათლება ამერიკაში აქვს მიღებული, მაგრამ ტომის ბელადებთან საერთო ენის გამონახვა არ გასჭირვებია. სწორედ მათი დახმარებით გაილაშქრა დედაქალაქ მონროვიისკენ, მაგრამ ნიგერიის მხარდაჭერით სიერა ლეონეს არმიამ ამის საშუალება არ მისცა. მაშინ ჩარლზ ტეილორმა დაიფიცა, რომ ძალიან მალე "სიერა ლეონე ომის სიმწარეს საკუთარ ტყავზე გამოსცდიდა".

მართლაც, 1991 წელს ტეილორის ხელმძღვანელობით შეიარაღებულმა რაზმებმა სიერა ლეონეს ალმასით მდიდარი საბადოები დაიკავეს. მისივე უშუალო ხელმძღვანელობით ამ რაზმებმა ქვეყნის ნახევარი მოსახლეობა თავიანთი საცხოვრებლიდან აყარეს, 200 000-მდე ადამიანი მოკლეს და ათასობით ქალი გააუპატიურეს.

ვითარება შეიცვალა მხოლოდ 2000 წელს, როდესაც გაერო-ს ეგიდით ბრიტანელმა მშვიდობისმყოფელებმა ქვეყანაში წესრიგი აღადგინეს და ტეილორის დამქაშები ქვეყნიდან გაყარეს.

თავად ლიბერიაში, 1997 წელს, ამომრჩეველთა დატერორებით, ტეილორი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. თუმცა, მისი ამბიციები ვერც ამით დაკმაყოფილდა. სიერა ლეონეში გავლენის შემცირების საკომპენსაციოდ, მან გვინეის დაპყრობა განიზრახა. მალე ტეილორის რაზმებმა გვინეის მესამედი დაიკავეს, მაგრამ მოგვიანებით ამერიკელთა დახმარებით გვინეის ხელისუფლებამ ლიბერიელთა განდევნა შეძლო.

ახლა შეტევაზე თავად გვინეა გადავიდა და ლიბერიელები ქვეყნის პრეზიდენტის წინააღმდეგ აამხედრა. შოკირებულმა ტეილორმა დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი კამპანია, რომელსაც ხალხმა "არც ერთი ცოცხალი სულიერი" შეარქვა. ამ კამპანიის მსვლელობის დროს ტეილორმა ძალიან ბევრი თანამემამულე ამოჟლიტა.

ტყვიაშეუვალი ლიბერიელები

გასული წლის მიწურულს დასავლეთ აფრიკის ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ სახელმწიფო კოტ დ'იუარში ომი დაიწყო. ქვეყნის ჩრდილოეთით აჯანყებულები, რომელთაც ბურკინა ფასო ეხმარებოდა, აღშფოთებული იყვნენ იმით, რომ ხელისუფლებაში მხოლოდ პრეზიდენტის ტომის წევრები აღმოჩნდნენ.

ქვეყნის პრეზიდენტმა ლორენ გაგბომ საკუთარ თანამოქალაქეებთან საბრძოლველად ლიბერიელები, ძირითადად, ლტოლვილები გამოიყენა. ლიბერიელები გამორჩეული მებრძოლები არიან, რასაც ადგილობრივებში გავრცელებული მითიც აძლიერებს: თითქოს მათ აქვთ მაგიური ძალა, რომელიც ტყვიისგან იცავს.

კოტ დ'იუარში მიმდინარე სისხლისღვრას ფრანგმა მშვიდობისმყოფელებმა მოუღეს ბოლო. მართალია, ცოტა ხნით შეტაკებები ისევ განახლდა, მაგრამ გუშინ ხელისუფლებამაც და აჯანყებულებმაც შეიარაღებულ დაპირისპირებაზე უარი განაცხადეს.

მშვიდობის დამყარების პერსპექტივა

რეგიონის ქვეყნები მოჯადოებულ წრეში მოექცნენ. ეთნიკურმა დაპირისპირებამ ომები გამოიწვია. ომებმა კი, თავის მხრივ, ეთნიკური ურთიერთობები კიდევ უფრო გაამწვავა. ლიბერიის პრეზიდენტ ტეილორს ყველაზე ცუდად აქვს საქმე: ის ქვეყნები, რომლებსაც ადრე თავს ესხმოდა, თავად გადავიდნენ შეტევაზე და ლიბერიას დანაწილებას უპირებენ.

ახლა ერთადერთი იმედი ამერიკელები არიან. მათ დახმარება აღუთქვეს ფრანგებმა და თავად რეგიონის ქვეყნებმაც, რადგან დაუსრულებელი ომები ცხოვრებას გაუსაძლისს ხდის. ყველაფერი ამერიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. იმედია, ვაშინგტონი ლიბერიელებს, მათი წინაპრების მსგავსად, კიდევ ერთხელ გაუწვდის დახმარების ხელს.

სილვიო ბერლუსკონი ბოდიშს არ იხდის

სილვიო ბერლუსკონის თავისი სიტყვები უკან არ მიაქვს

ლევან ღირსიაშვილი

იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის განცხადებით, მას ოფიციალური ბოდიში ევროპარლამენტში გერმანელი დეპუტატის შეურაცხყოფისთვის არ მოუხდია. ბერლუსკონიმ მხოლოდ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ მისი ნათქვამი არასწორად გაიგეს. მეტიც, ბერლუსკონი უკან არ იხევს და აცხადებს, რომ მისი რეპლიკა მთლიანად შეესაბამებოდა დეპუტატ მარტინ შულცის მკვეთრად უარყოფით რეაქციას.

როგორც ვიუწყებოდით, იტალიის პრემიერ-მინისტრის ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლას რამდენიმე ათეული დეპუტატი პროტესტით შეხვდა. ბერლუსკონიმ კი, მათ შორის ყველაზე აქტიური დეპუტატი მარტინ შულცი ამოიღო მიზანში და გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ მხატვრულ ფილმში ზედამხედველის როლზე რეკომენდაციის გაწევა შესთავაზა. ბერლუსკონის "ხუმრობამ" კი ლამის საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია.

გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა და ევროპარლამენტის ხელმძღვანელობამ მისგან ოფიციალური ბოდიშის მოხდა მოითხოვეს, მაგრამ "ნათლიად" წოდებული იტალიის ლიდერი რისი "ნათლია" იქნებოდა, ბოდიში რომ მოეხადა.

მართალია, ბერლუსკონიმ თავის გერმანელ კოლეგასთან სატელეფონო საუბარში უკვე გაარკვია ურთიერთობა, მაგრამ ევროპარლამენტის ხელმძღვანელობა მისგან კვლავ დაჟინებით მოითხოვს ბოდიშის მოხდას. **"ინციდენტი ევროპის პარლამენტში მოხდა და არა ბერლინში. ბერლსუკონიმ თავისი ნათქვამი ევროპარლამენტის წინაშე უნდა ახსნას, რათა საბოლოოდ დაესვას წერტილი ამ საქმეს,"** - განაცხადა, ევროპარლამენტის სპიკერმა პეტ კოკსმა.

იტალიის პრემიერ-მინისტრი კი თავის პოზიციაზე დგას და უკან არ იხევს. **"რაც შეეხება ევროპის პარლამენტს, ჩემი პოზიცია უცვლელია. მე ბოდიში არ მომიხდია. მხოლოდ სინანული გამოვთქვი, რომ ჩემი ირონიული რეპლიკა და ხუმრობა არასწორად გაიგეს,"** - განაცხადა იტალიის პრემიერ-მინისტრმა. ამასთან, აღნიშნა, რომ დეპუტატ შულცის კრიტიკული გამონათქვამები მისი ბიზნესისა და პოლიტიკური საქმიანობის მიმართ შეურაცხმყოფელი იყო და ეს რეპლიკაც ამ შეურაცხყოფაზე პასუხად უნდა ჩაითვალოს. რაც შეხება "დაზარალებულ" შულცს, ვიდრე ის ბერლუსკონისგან საპასუხო დარტყმას მიიღებდა, მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა იტალიის პრემიერ-მინისტრის საქმიანობა და ბერლუსკონის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და მის მედია-იმპერიას შორის არსებულ ინტერესთა კონფლიქტზე ისაუბრა.

პოლონეთი ერაყულ ნავთობს უმიზნებს

პოლონეთი, რომელიც ერაყულ სამშვიდობო ოპერაციებში ერთ-ერთ წამყვან ფუნქციას ასრულებს, ღიად აცხადებს, რომ მისი განზრახვა ერაყულ ნავთობბიზნესში წილის მოპოვებაა. ამის შესახებ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვლოდიმირუ ჩიმოუევიჩმა აცნობა მსოფლიოს. მისი თქმით, ქვეყანას არც არასოდეს დაუმალავს თავისი განზრახვა - კონტროლი დაემყარებინა ერაყული ნავთობსაბადოების ნაწილზე.

ჩიმოუევიჩმა ეს განცხადება იმ დროს გააკეთა, როცა რამდენიმე პოლონური ფირმა ხელშეკრულებას აფორმებდა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ყოფილი კომპანია "ჰელიბერტონის" შვილობილ ფირმა "კელოგ, ბრაუნ ენდ რუტთან." ამ უკანასკნელმა რამდენიმე ხნის წინ ერაყში აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებელ კონტრაქტს გამოჰკრა ხელი. პოლონური ფირმები კი, შესაბამისად, მისი ქვეკონტრაქტორები იქნებიან.

"ჩვენი ნავთობკომპანიები ერაყულ საბადოებზე უნდა დამკვიდრდნენ. ეს არის ჩვენი საბოლოო მიზანი," – აცხადებს ჩიმოუევიჩი.

მოგეხსენებათ, პოლონეთი მხოლოდ სამშვიდობო ოპერაციებში კი არ მონაწილეობს, არამედ ერთობ აქტიურად უჭერდა მხარს ვაშინგტონს ერაყულ კამპანიაში და საომარი მოქმედებების დროს რეგიონში მცირე შენაერთიც კი გაგზავნა. მალე პოლონეთი 15 ქვეყნიდან წარგზავნილ ცხრა ათასზე მეტ სამშვიდობოზე მეთაურობას ჩაიბარებს, რაც, თავისთავად, ზრდის ამ სახელმწიფოს მნიშვნელობას. პოლონეთის სამშვიდობო სექტორი ამერიკულსა და ბრიტანულს შორისაა მოქცეული.

აშშ მზად არის

აშშ მზად არის პრევენციული დარტყმა მიაყენოს ნებისმიერ ტერორისტულ დაჯგუფებას, ან რეჟიმს, რომელიც შეერთებულ შტატებს მასობრივი განადგურების იარაღით ემუქრება. ამის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ამერიკელი ხალხისადმი მიმართვაში განაცხადა. "აშშ შემდეგ შეტევებს პასიურად ვერ დაელოდება" - აღნიშნა ბუშმა.

მისი თქმით, ამერიკა ჯერ კიდევ საერთაშორისო ტერორიზმთან "ომის მდგომარეობაში იმყოფება" და მისი მტრები ახალ თავდასხმებს ამზადებენ. "ჩვენ ვიმოქმედებთ იქ, სადაც ეს აუცილებელია, რათა ამერიკელი ხალხის სიცოცხლე და თავისუფლება დავიცვათ" - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა.

მან დასძინა, რომ აშშ-ს გარეშე მსოფლიოს ტერორისტულ რეჟიმს დასჯის შიში არ ექნებოდა.

"მსოფლიო პოლიტიკაში აშშ-ს აქტიური მონაწილების გარეშე ტირანების ამბიციებს წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა. ამერიკის აქტიური მოქმედების წყალობით ტირანებმა შიში ისწავლეს, ტერორისტებმა კი დამალვა დაიწყეს" - თქვა ბუშმა.

მისივე თქმით, "დღეს, ვინც ტირანიის პირობებში ცხოვრობს და თავისუფლებაზე ოცნებობს, აშშ-ზე ამყარებს იმედებს".

ინტერ-პრესი

ერაყში ტერაქტები გრძელდება

ექვსი ადამიანი დაიღუპა და 50-ზე მეტი დაიჭრა ერაყის დასავლეთში ძლიერი აფეთქების შედეგად. აფეთქება ბაღდადიდან დასავლეთით, 90 კმ-ში მდებარე ქალაქ რამადიში პოლიციის განყოფილების შენობასთან მოხდა. დაღუპულთა უმრავლესობა ერაყელი პოლიციელები არიან.

კატარის ტელარხის "ალ-ჯაზირას" ინფორმაციით, ამ განყოფილებაში ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები ერაყის სამართალდამცველი ორგანოებისთვის კადრებს ამზადებენ. თვითმხილველები ამბობენ, რომ აფეთქების მიზეზი გზის პირას დამონტაჟებული დისტანციური მართვის ნაღმი გახდა. აფეთქება იმ დროს მოხდა, როცა პოლიციელები შენობიდან გამოდიოდნენ.

ამერიკულმა სპეცდანიშნულების რაზმმა ინციდენტის ადგილს ალყა შემოარტყა. აშშ-ის არმის წარმომადგენლები კომენტარს არ აკეთებენ.

ინტერ-პრესი

„დინამოს“ პირველი მარცხი

გერმანიის დაბა რუიტში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ ამხანაგური სპარინგ-მატჩი გამართა გერმანული ბუნდესლიგის გუნდ „მიუნხენ 1860“-თან და მინიმალური ანგარიშით, 1:2 დამარცხდა. ეს ამ შეკრების დროს ჩატარებულ ოთხ შეხვედრაში საქართველოს ჩემპიონის პირველი მარცხია. შეგახსენებთ, რომ პირველ სამ მატჩში „დინამომ“ გამარჯვებები მოიპოვა. შუშაკი თავის გუნდთან ერთად კიდევ ერთ კვირას დაჰყოფს გერმანიაში და სამშობლოში 12 ივლისს დაბრუნდება, ხოლო 16 ივლისს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ალბანეთის „ტირანას“ უმასპინძლებს.

დემოკრატებმა სპორტისთვის მოიცალეს

გაერთიანებული დემოკრატების გლდანის რაიონის ახალგაზრდული კავშირის ინიციატივით გაიმართა ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში დევიზით - „გამოვავლინოთ გლდანის რაიონის ჩემპიონი“. შეჯიბრება დაძაბულად წარიმართა. გაიმარჯვა ირაკლი ნადარაიამ. მეორე ადგილზე გავიდა გიორგი მახარაშვილი, მესამეზე - დავით სლოიანი. გამარჯვებულები ტურნირის ორგანიზატორებმა საპატიო პრიზებით დააჯილდოეს.

ინფოთეკა

კალათბურთი. წლევანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა ლებრონ ჯეიმსმა „კლივლენდ კავალიერზთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ ხნის განმავლობაში კალათბურთელი ხელფასის სახით დაახლოებით 13 მილიონ დოლარს მიიღებს. შედარებისთვის: შარშანდელი დრაფტის პირველი ნომრის იაო მინის საკონტრაქტო თანხა 20 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ჯეიმსის.

კრივი. უკრაინელი მძიმეწონოსანი მოკრივე ვლადიმირ კლიჩკო თავის შემდგომ ბრძოლას 30 აგვისტოს მიუნხენში გამართავს. მეტოქე ჯერჯერობით უცნობია. WBO-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვლადიმირ კლიჩკომ სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსთან ბრძოლაში დაკარგა.

ფორმულა 1. დღეს გაიმართება საფრანგეთის გრან-პრი ფორმულა 1-ში. რბოლას პირველ პოზიციაზე დაიწყებს რალფ შუმახერი, რომელმაც გუშინ საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო. მეორე პოზიციაზე კოლუმბიელი ხუან-პაბლო მონტოია იქნება, მესამეზე -მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი.

ჩოგბურთი. ყველაზე ტიტულოვანი უკრაინელი ჩოგბურთელი ანდრეი მედვედევი საჩოგბურთო კარიერის დამთავრებაზე ფიქრობს. თუმცა, ის შეიძლება კორტზე მაინც გამოჩნდეს. საქმე ის არის, რომ უკრაინის ჩოგბურთის ფედერაციამ მედვედევს შესთავაზა, უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღოს დევისის თასის გათამაშებაში. ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში უკრაინელები კოტ დ`ივუარის გუნდს შეხვდებიან.

ჩოგბურთი. ამერიკელ მარტინა ნავრატილოვას აქვს შანსი, მოხსნას ლეგენდარული ბილი-ჯინ კინგის რეკორდი (მან 20-ჯერ მოიპოვა უიმბლდონის ჯილდო). 46 წლის ნავრატილოვა შერეულ წყვილებში უიმბლდონის ნახევარფინალში გავიდა. პარასკევს ნავრატილოვა-პაესის წყვილმა სამ სეტში მოუგო ლაიზა რეიმონდსა და მაიკ ბრაიანს. მარტინა ნავრატილოვა უიმბლდონის 19-გზის ჩემპიონია: 9-ჯერ მოიგო პირად ჩათვლაში, 7-ჯერ - წყვილთა თანრიგში და 3-ჯერ - შერეულ წყვილებში.

ფეხბურთი. დორტმუნდის “ბორუსიის” გამთამაშებელმა, ჩეხმა ტომაშ როსიცკიმ კლუბთან კონტრაქტი 2008 წლამდე გააგრძელა. როსიცკისა და გერმანულ კლუბს შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ ინფორმაციას უეფას ოფიციალური საიტის მეშვეობით ადასტურებს “ბორუსიის” სპორტული დირექტორი მიხაელ ცორკი. შეგახსენებთ, რომ გერმანულმა კლუბმა როსიცკი 2001 წელს 15 მილიონ ევროდ პრაღის “სპარტასგან” იყიდა. 22 წლის გამთამაშებელს დიდი წვლილი მიუძღვის 2002 წელს გერმანიის ჩემპიონატის მოგებაშიც. სულ ჩეხმა ფეხბურთელმა ბუნდესლიგაში 75 მატჩში ითამაშა, 9 ბურთი გაიტანა და 20 საგოლე პასი მიითვალა.

ფეხბურთი. ჩუკოტკის გუბერნატორსა და აწ უკვე “ჩელსის” აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელს, რუს ბიზნესმენს რომან აბრამოვიჩს სურს, ლონდონური კლუბის ერთადერთი პატრონი გახდეს. Tribalfootball-ის ინფორმაციით, “ჩელსის” აქციათა მფლობელები, რომელთა რიცხვი 12 ათასს აღწევს, რამდენიმე დღეში რუსი ბიზნესმენისგან მიიღებენ წერილობით წინადადებას, საკუთარი აქციები გაყიდონ. ახლა აბრამოვიჩი აქციათა 50,09%-ს ფლობს. რაც შეეხება თავად კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას, უფრო სწორად, კლუბში მწვრთნელის დარჩენა-არდარჩენას, აბრამოვიჩის თქმით, მას სრულიად აკმაყოფილებს მთავარი მწვრთნელის კლაუდიო რანიერის საქმიანობა. გარდა ამისა, დასძენს, რომ კმაყოფილია მთლიანად კლუბის ხელმძღვანელობის საქმიანობით.

ფეხბურთი. მას შემდეგ, რაც “ბოკა ხუნიორსი” ლიბერტადორესის თასს დაეუფლა, და შესაბამისად საყვარელი კლუბის ქომაგებმა საყოველთაო ზეიმი მოაწყვეს, ყოველივეს უშედეგოდ არ ჩაუვლია. დაახლოებით ორმა ათეულმა არგენტინელმა სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო, ხოლო ზედმეტად აღგზნებული 150 კლუბის ფანატი პოლიციის ხელში აღმოჩნდა. დაშავებულთა რაოდენობის მხრივ რეკორდსმენი ბუენოს აირესი აღმოჩნდა, სადაც 10 ადამიანი დაშავდა.

ჩოგბურთი

სერენა უილიამსი - ზედიზედ მეორედ

შარშანაც ასე იყო, სერენამ ვინუსს მოუგო

REUTERS

„პირველი სეტი შესანიშნავი იყო, რადგან ჩემი და ბრწყინვალედ თამაშობდა. ის, მართლაც, კარგად თამაშობს. შემდეგ იმაზე ვიმტვრევდი თავს, როგორ გამომესწორებინა მდგომარეობა. ძალიან მინდოდა, ისევ უიმბლდონის ეს სინი მჭეროდა ხელში. ფინალის თამაში ყოველთვის ძალიან ძნელია“, - ეს სიტყვები სერენა უილიამსმა ფინალური მატჩის შემდეგ წარმოთქვა. მან უიმბლდონის ტურნირი ზედიზედ მეორედ მოიგო. ეს კი ტრადიციული ტურნირის მდიდარ ისტორიაში ძალიან იშვიათად ხდება.

საინტერესოა, რომ 2000 წლის შემდეგ უიმბლდონის ტურნირზე გამარჯვება, ერთგვარად, უილიამსების ოჯახურ ტრადიციად ჩამოყალიბდა. 2000-2001 წლებში ტურნირი ვინუსმა მოიგო. 2002-2003 წლების ლაურეატი კი მისი უმცროსი და სერენა გახდა. უილიამსების მამა რიჩარდი, როგორც ჩანს, ტრადიციას არ ღალატობს და დებს შორის წონასწორობას ინარჩუნებს. ვინუსს უიმბლდონის ორი ტიტული უკვე ჰქონდა. ახლა კი სერენას ჯერი იყო და მანაც მამას იმედები არ გაუმტყუნა. სერენა უილიამსისთვის ეს „დიდი სლემის“ მეექვსე ტიტულია.

თამაში სანახაობრივად უაღრესად თვალსასაერო გამოდგა. ოღონდ, ეგ არის, მატჩის წინ სერენამ მცირე ტრავმა მიიღო და ამის გამო მხოლოდ 10 წუთი ივარჯიშა. მესამე სეტის წინ კი ვინუსსაც “ეწვია” მცირე ტრავმა, მაგრამ დებმა მატჩი მაინც ჩაამთავრეს.

პირველ სეტში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს სერენა გეიმებს განზრახ თმობდა. ამის შესახებ მატჩის შემდეგ ფრანგმა გი ფორჟემაც შენიშნა. „სერენა ძალიან უგულებელყოფდა საკუთარ ფიზიკურ ძალას და ბურთს ისე გამეტებით ურტყამდა, რომ მუდმივად აცდენდა მიზანს. შემდეგ მდგომარეობა გამოასწორა და ეს შედარებით მაღალი კლასის ხარჯზე მოახერხა. ასე რომ, სერენა გამარჯვებას იმსახურებდა“, - განაცხადა გი ფორჟემ.

მეორე სეტში სერენას უცნაური თამაში სადღაც გაქრა და მსოფლიოს პირველი ჩოგანი 5:1 დაწინაურდა, მაგრამ ისევ უცნაური თამაში და ვინუსმა მინიმუმამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა. ეს უფრო სპექტაკლს ჰგავდა, მაგრამ არა ჩაწყობილს. უბრალოდ, დებმა ერთმანეთს ღალი თამაშის საშუალება მისცეს, სადაც რანგით მაღალ საფეხურზე მდგომმა სერენამ გაიმარჯვა. სერენა უილიამსმა ჯილდოს სახით 535 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო.

უიმბლდონი. ინგლისი. „დიდი სლემის“ ტურნირი. ბალახი. შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟები - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), ქალები - სერენა უილიამსი (აშშ). ფინალი.

ქალები:

სერენა უილიამსი (აშშ, 1) - ვინუს უილიამსი (აშშ, 4) 4:6, 6:4, 6:2

ქრივი

როი ჯონსი ხავსს ეჭიდება

გიგა გურასაშვილი

გამოუვალ მდგომარეობაშია კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) მსოფლიო ჩემპიონი როი ჯონს-უმცროსი. მას შემდეგ, რაც ნახევრად მძიმე წონიდან მძიმეში გადავიდა და, ამასთან, ისეთი მოკრივეებისკენ გაიქაჩა, როგორებიც ევანდერ ჰოლიფილდი და ლენოქს ლუისი არიან, ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით ნათელი ხდება, რომ ორივესთან ბრძოლის შანსი ხელიდან ეცლება. ყოველ შემთხვევაში, 4 ოქტომბერს, ლას ვეგასში, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილდი “მენდელეი ბეის” კაზინოს რინგზე IBF (ფედერაციის) ვერსიით ქვემძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონს ჯეიმს ტონის ხვდება. რაც შეეხება ლენოქს ლუისს, კრივის მსოფლიოს საბჭოს უმთავრესი ტიტულის მფლობელი მისთვის ერთგვარი ხავსის როლს ასრულებს. ჰოდა, როი ჯონსიც, შეძლებისდაგვარად, ეჭიდება ლუისთან ბრძოლის შანსს.

როი ჯონსი გულშემოყრილია

REUTERS

მას შემდეგ, რაც როი ჯონსს ჰოლიფილდთან ჩხუბის ორგანიზების გეგმები ჩაეშალა, ასოციაციის ჩემპიონსა და მის პრომოუტერს მურად მუჰამადს სხვა გზა არ დარჩენიათ, გარდა ერთისა, რადაც უნდა დაუჯდეთ, ლუისი კონტრაქტზე დაითანხმონ. ჯონსის ბანაკს ისე ძალიან უნდა ლუისთან დაპირისპირება, რომ, მზად არიან, ამისთვის საბჭოს მსოფლიო ჩემპიონს 25 მილიონი დოლარიც კი შესთავაზონ. როგორც ამბობენ, თუ ჯონსისა და ლუისის ორთაბრძოლა შედგა, წინასწარი მონაცემებით, მატჩის ტრანსლაცია, რა თქმა უნდა, კაბელური ტელევიზიის მეშვეობით, ყოველგვარ რეკორდს მოხსნისო. ვარაუდებს ამერიკელისა და ბრიტანელის ჩხუბთან დაკავშირებით, მართლაც, ბლომად გამოთქვამენ. ლუისის თანხმობის შემთხვევაში, მატჩი წლის ბოლოს უნდა გაიმართოს. ბრძოლის ველად კი ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ ქალაქს - ნიუ იორკს ან ატლანტიკ სიტის ასახელებენ.

“მას შემდეგ, რაც ითქვა, რომ როის ქვემძიმე წონაში აღარაფერი ესაქმებოდა, მან მძიმეწონოსანი ჯონ რუისი გამოიწვია და მოუგო კიდეც, - ვითარებაში გვარკვევს მურად მუჰამადი. – შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ ძველ წონას დაბრუნებოდა, “სამ მუშკეტერზე” გაიწია. ჯერ მაიკ ტაისონს მიმართა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ წუთისთვის ის მზად არ იყო. მერე - ჰოლიფილდს, რომელმაც უარი თქვა დამატებით 15 მილიონი დოლარის გამომუშავებაზე და სანაცვლოდ 4-მილიონიანი ჩხუბი არჩია (მუჰამადი ჯეიმს ტონის გულისხმობს. - რედ.). ახლა კი როი გიგანტ ლუისს იწვევს... შეცდომის დრო არ არის. არ გეგონოთ, რომ ლუისი ისეთივე ფორმაში იქნება, როგორიც ვიტალი კლიჩკოსთან მატჩში იყო. ტრადიციულად, ცუდი სპორტული ფორმის შემდეგ ლუისი ყოველთვის ბრწყინვალე მდგომარეობას უბრუნდებოდა”.

რამდენიც უნდა ილაპარაკოს მუჰამადმა, ლუისი, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, იმ აზრზეა, რომ უკრაინელთან განმეორებითი მატჩი უფრო ხიბლავს, ვიდრე ასოციაციის ჩემპიონ როი ჯონსთან დაჭიდება. ისე კი, ალბიონელისგან ყველაფერია მოსალოდნელი. თუ ლუისის რამდენიმე დღის წინანდელ განცხადებას დავაკვირდებით, იგი ეჭვის საბაბს იძლევა: “მე და როიმ ვისაუბრეთ. არაფერს გამოვრიცხავ. ჯერჯერობით ყველა კარს ღიად ვტოვებ, თუმცა, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, ძალიან მინდა ვიტალისთან განმეორებითი ბრძოლა”.

ფეხბურთი

ული ჰიონესი: „ბექჰემის პრეზენტაცია მაიმუნების თეატრი იყო“

ნინო პირველი

სამი-ოთხი დღის განმავლობაში ლამის მთელ მსოფლიოს დევიდ ბექჰემის სახელი ეკერა პირზე. ევროპაში ყველამ ნახა, როგორ ჩაბრძანდა “ბექსი” მადრიდში, როგორი ტრიუმფალური დახვედრა მოუწყვეს მას და მის მეუღლეს ესპანელებმა, რა ზარ-ზეიმით მიაბრძანეს კლინიკაში გამოსაკვლევად და რაოდენ შთამბეჭდავი სპექტაკლი დადგეს სპორტის სასახლეში ოფიციალურ პრეზენტაციაზე. მადრიდში ყველას უხარია, რომ ამიერიდან ბექჰემი “რეალში” ითამაშებს, “სამეფო კლუბის” გულშემატკივრები დარწმუნებულნი არიან, რომ ვერც ჩემპიონთა ლიგაში და ვერც პრიმერა დივიზიონში პერესის “თეთრ ბალეტს” ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს. მადრიდიდან ძალიან შორს, დაახლოებით 2000 კილომეტრის სავალზე მდებარე სამხრეთ გერმანულ ქალაქ მიუნხენში კი “რეალის” ამბიციებს არასერიოზულად მიიჩნევენ და ბექჰემის ტრიუმფალურ პრეზენტაციაზე მხოლოდ ეცინებათ. მიუნხენის “ბაიერნის” მენეჯერი ული ჰიონესი და გუნდის მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი ამბობენ, რომ “რეალი” სულაც არ არის ჩემპიონთა ლიგის ფავორიტი...

მაინც რა ალაპარაკებს ული ჰიონესს? სიმართლე თუ შური? ბოლოს და ბოლოს, “ბაიერნს” ხომ არასოდეს გაუხორციელებია ასეთი გრანდიოზული ტრანსფერი? 35 მილიონი ევრო ჰიონესს მთელი თავისი კარიერის მანძილზე ერთ ფეხბურთელში არ გადაუხდია და არც აპირებს. ის, უბრალოდ, დასცინის ვარსკვლავებზე გადარეულ მადრიდელებს, რომელთაც მილიონები არ ენანებათ მსოფლიოში სახელგანთქმული ფეხბურთელების გადასაბირებლად. ზიდანი, რონალდო, ბექჰემი... ული ჰიონესი კი მხოლოდ იცინის და მადრიდელებს არანორმალურებს უწოდებს.

“რეალი” საფეხბურთო გუნდიდან საცირკო კლუბად იქცა და ეს ჩვენთვის ნამდვილად ძალიან კარგია. ასეთი მაიმუნების თეატრი ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მინახავს. სიცილით ვკვდებოდი, როცა ბექჰემის პრეზენტაციას ვუყურებდი. ამგვარი ცირკი მსოფლიოში არავის მოუწყვია. შეუძლებელია, ამან “რეალის” თამაშის ხარისხზე არ იმოქმედოს”, - ამბობს ბავარიელთა მენეჯერი.

საერთოდ, ული ჰიონესი ყოველ ახალ სეზონს თავისი დაუძინებელი მტრების, “რეალისა” და “ბარსელონას” კრიტიკით იწყებს ხოლმე და ორივეს განადგურებას ჰპირდება. ამჟამად “ბარსელონა” ნამდვილად არ არის ისეთ მდგომარეობაში, რომ “ბაიერნისთვის” რაიმე კონკურენციის გაწევა შეეძლოს – კატალონიელები ხომ ვერც კი მოხვდნენ ჩემპიონთა ლიგაში. ამის მიუხედავად, ჰიონესი ტრადიციას არ ღალატობს და, შვებულებიდან დაბრუნებული, ისევ დიდ ყურადღებას უთმობს ორივე ესპანურ კლუბს. ამჯერად ჰიონესი “ბარსაზე” იმიტომაა გაბრაზებული, რომ კატალონიელები მას “დეპორტივოს” ჰოლანდიელ ფორვარდს, როი მაკაის ეცილებიან, რომლის შეძენაც ძალიან უნდათ ბავარიელებს. “მეცინება კიდეც, როცა “ბარსელონას” ჩვენს კონკურენტად მოიხენიებენ. კატალონიელებს 180 მილიონი ვალი აქვთ, რომელ კონკურენციაზეა აქ საუბარი?” - ამბობს ჰიონესი და იმედს არ კარგავს, რომ მაკაის გადაბირებას შეძლებს.

რაკი “ბარსა” აღარ არის ბავარიელთა მეტოქე, ჰიონესს მთელი ყურადღება “რეალზე” გადააქვს და მადრიდელებს დაუნდობლად აკრიტიკებს ბოლო პერიოდში არჩეული სატრანსფერო პოლიტიკის გამო. “მათ კლუბიდან დაითხოვეს თვით ისეთი გამოცდილი და წარმატებული სპეციალისტიც კი, როგორიც ვინსენტე დელ ბოსკეა. ის გაათავისუფლეს მხოლოდ იმიტომ, რომ სიტუაციის თეატრალიზებაზე ყოველთვის უარს ამბობდა, სიმშვიდისა და უბრალოების განსახიერება იყო. “რეალს” კი მუდამ თეატრი და ცირკი სჭირდება. მაიკლ ჯორდანი სირცხვილით უნდა მოკვდეს და საფლავში გადაბრუნდეს, ბექჰემმა რომ მისი ოცდამესამე ნომერი მიიღო. ამით “რეალს” მხოლოდ დიდი ფულის გაკეთება სურს”, - მადრიდელთა სიხარბეს ამხელს ჰიონესი.

“რეალს” არც “ბაიერნის” მთავარი მწვრთნელი, ოტმარ ჰიტცფელდი მიიჩნევს დაუმარცხებელ და მეტისმეტად სახიფათო მეტოქედ. “იმდენი თავდამსხმელი ჰყავთ, რომ, ალბათ, თავადაც არ იციან, ვინ სად უნდა ითამაშოს. “რეალს” ერთი მაღალი კლასის მცველი რომ ეყიდა, მაშინ ნამდვილად ავღელდებოდი, ახლა კი სანერვიულო არაფერია”, - ამბობს ჰიტცფელდი.

სხვათა შორის, ბექჰემი ძალიან არ მოსწონთ მიუნხენელებს. “ჩვენ მისი შეძენა არც კი მოგვსვლია აზრად, რადგან ბექჰემს თან ვიქტორიაც მოჰყვება და ასეთი ტვირთი ჩვენთვის ნამდვილად მძიმე ასატანი იქნებოდა”, - თქვა ჰიონესმა. მოკლედ, გერმანიაში ფიქრობენ, რომ ბექჰემის შეძენით “რეალს” არაფერი შემატებია და მისი დამარცხება სულაც არ არის შეუძლებელი. ესპანელები ამ პროვოკაციულ განცხადებას, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დატოვებენ და თუ “ბაიერნი” და “რეალი” ერთმანეთს სადმე გადაეყრებიან, მათი შეხვედრა, მართლაც, უაღრესად საინტერესო იქნება...

ყვავყვავი

ნინო I

„პოშ სპაისი“ მადრიდის დასავყრობად ემზადება

“რეალი” საფეხბურთო გუნდიდან საცირკო კლუბად იქცა. ასეთი მაიმუნების თეატრი არასოდეს მინახავს. სიცილით ვკვდებოდი, როცა ბექჰემის პრეზენტაციას ვუყურებდი. ამგვარი ცირკი მსოფლიოში არავის მოუწყვია. შეუძლებელია, ამან “რეალის” თამაშის ხარისხზე არ იმოქმედოს. “რეალს” მუდამ თეატრი და ცირკი სჭირდება. მაიკლ ჯორდანი სირცხვილით უნდა მოკვდეს, ბექჰემმა რომ მისი ოცდამესამე ნომერი მიიღო”, - თქვა “მიუნხენის” “ბაიერნის” მენეჯერმა ული ჰიონესი დევიდ ბექჰემის პრეზენტაციის შემდეგ.



ვიქტორიას მეტოქე მამენ სანსი

ბექჰემის პომპეზური ჩაბრძანდება ინგლისში, შესაძლოა, მართლაც, კარგად დადგმული სპექტაკლი იყო, მაგრამ ეს რა მოსატანია იმასთან შედარებით, რისი მომსწრეც სულ მალე გახდებიან მადრიდელები, როცა ვიქტორია და დევიდი საბოლოოდ დასახლდებიან ესპანეთის დედაქალაქში და “პოშ სპაისი” თავისი პოზიციების განმტკიცებას შეეცდება. აი, მაშინ კი მართლაც დაიწყება “მილიონერთა შოუ”. პირველობის მოყვარულ ვიქტორია ადამსს დიდი შრომა მოუწევს მადრიდში თვითდამკვიდრებისთვის. “რეალის” ვარსკვლავთა მეუღლეები, ბუნებრივია, ვიქტორიას მორჩილად არ დაუთმობენ დედოფლის გვირგვინს. “პოშ სპაისის” ყველაზე სახიფათო მეტოქედ ინგლისელი ჟურნალისტები აღგილობრივი საზოგადოების კერპის, რაულ გონსალეს ბლანკოს მეუღლეს მიიჩნევენ. 27 წლის მამენ სანსს “რეალის” დედოფალს უწოდებენ. სანამ რაულს შეხვდებოდა, ეს მომხიბვლელი ესპანელი ქალბატონი მოდელი იყო. მას და რაულს ორი ვაჟი ჰყავთ (ხორხე და უგო), სწორედ ისე, როგორც ვიქტორიას და დევიდს. საერთოდ, ეს წყვილი ბევრი რამით ჰგავს ბექჰემებს. სანამ მამენს გაიცნობდა, რაული წამდაუწუმ იცვლიდა საყვარლებს და გამოუსწორებელ დონ ჟუანად ითვლებოდა. დაქორწინების შემდეგ კი ერთგულ მეუღლედ იქცა. მამენმა კარიერაზე უარი თქვა და მთლიანად ოჯახს მიუძღვნა თავი, სწორედ ისე, როგორც ვიქტორიამ. რაულს ძალიან უყვარს თავისი მეუღლე. ყოველთვის, როცა ის მეტოქის კარს დალაშქრავს, ტრიბუნისკენ გარბის და ქორწინების ბეჭედს კოცნის. ამით ის მამენს ესალმება და მხოლოდ მას უძღვნის გატანილ გოლს. ინგლისელი ჟურნალისტები ირონიულად შენიშნავენ, ბექჰემი, გოლის გატანის მერე, ალბათ, თავის თმის სამაგრს თუ აკოცებსო. ვნახოთ.

მეორე ქალბატონი, რომელთანაც ვიქტორიას აუცილებლად მოუწევს ბრძოლა, ლუიზ ფიგუს შვედი მეუღლე ჰელენე სვიდენი გახლავთ. ადრე ისიც მოდელი იყო. ფიგუ ბარსელონის ერთ-ერთ რესტორანში გაიცნო. პორტუგალიელი ფეხბურთელი ისე მოიხიბლა მისი სილამაზით, რომ სრულიად უცნობი გოგონა გააჩერა და ტელეფონის ნომერი სთხოვა. მერე ისინი კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად - ფლამენკოს ცნობილი მოცეკვავის, ხოაკინ კორტესის კონცერტზე. ფიგუ ყურებამდე იყო შეყვარებული და მალე დაქორწინდა კიდეც მშვენიერ ჰელენეზე. მათ ორი გოგონა ჰყავთ - დანიელა და მარტინა. ოქროსფერთმიან, ცისფერთვალა ჰელენეს და შავგვრემან ვიქტორიას ბევრი რამ აქვთ საერთო - თუნდაც ის, რომ ორივეს ძალიან მოსწონს არმანის და დოლჩე და გაბანას პროდუქცია. ჰელენეს მეუღლესთან ერთად უყვარს სავაჭროდ სიარული მადრიდის ცნობილ შოპინგ-ცენტრ კაიე სერანოზე. ვიქტორია და დევიდიც ხომ სიამოვნებით დადიან ერთად საყიდლებზე.

33 წლის ვერონიკ ფერნანდეს-რამირესი, ფრანგი ზინედინ ზიდანის მეუღლე, ვიქტორიასათვით პატივმოყვარე ბრძანდება. ვერონიკი წარმოშობით ესპანელია. მისი მშობლები საფრანგეთში ცხოვრობდნენ და ესპანელ ემიგრანტებად ითვლებოდნენ. ვერონიკი ყოფილი ბალერინაა. მან და “ზიზუმ” 15 წლის წინ გაიცნეს ერთმანეთი, როცა ზიდანი 17 წლის იყო. ვერონიკს და “ზიზუს” სამი შვილი ჰყვათ - ენცო, ლუკა და თეო. ისინი რაულის და ფიგუს მეზობლად ცხოვრობენ. ზიდანი სწორედ ვერონიკის სურვილით გადავიდა “რეალში”, რადგან ესპანური წარმოშობის სენიორა ფერნადესს ძალიან უნდოდა მადრიდში ცხოვრება.

რონალდოს მეუღლე მილენე დომინგეში კი პირიქით, ძალიან უკმაყოფილოა, რომ იტალიიდან წამოვიდნენ. ის ისევ იტალიურ ქალთა კლუბ “ფიამა მონცაში” თამაშობს და ვიკენდზე მუდამ მილანში მიფრინავს. რონალდო ამაოდ სთხოვს, თავი დაანებოს ფეხბურთს. ქერათმიანი მილენე მეტად ამბიციური ქალია და რონალდოს უფრო იოლად დაუცილდება, ვიდრე ფეხბურთს. ვიქტორია მილენეს ნამდვილად ვერაფერში აჯობებს, რადგან “რონალდინია” მასზე ლამაზიცაა და ფეხბურთშიც უკეთ ერკვევა.

ყველა ამ ქალბატონს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, არაფერი დაუთმოს ვიქტორიას და მაშინვე მიუჩინოს მას თავისი ადგილი. მადრიდში ხმები დადის, რომ ვიქტორია თავის კონკურენტებს პირველად მარბელას პლაჟზე შეხვდება, სადაც ვარსკვლავების მეუღლეები ზაფხულს ატარებენ. მამენს, ვერონიკს და ჰელენეს ძალიან უყვართ მარბელას დისკო “ოლივია ვალერა”, სადაც ისინი რეგულარულად დადიან. ვიქტორიას დებიუტიც სწორედ აქ შედგება. ოთხივე მეტოქე გაცილებით ლამაზია “პოშ სპაისზე”, ოთხივე კარგად იცნობს მაღალ საზოგადოებას და მუდამ ძვირფასად მორთულ-მოკაზმული დადის. ძნელი სათქმელია, რა უნდა დაუპირისპიროს ვიქტორიამ “რეალის” ლამაზმანთა ბრწყინვალებას...

TV-სპორტი

კვირა. 6 ივლისი

NTV + ფუტბოლ

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. “ბარსელონა” – “ესპანიოლი”
15:00 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. “ვესტ ბრომვიჩი” – “მანჩესტერ იუნაიტედი”
16:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. “ბარსელონა” - “ფიორენტინა”
18:30 “პოსტსკრიპტუმი”. ლიბერტადორესის თასის შედეგები
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. “ლაციო” – “ინტერი”
21:05 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. “ბორდო” – “სპარტაკი” (რუსეთი)
22:50 ფუტბალი. მოსკოვში ჩემპიონთა თასის შედეგები
23:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. “გრემიო” - “ფლამენგო”. პირდაპირი ტრანსლაცია

NTV + СПОРТ

11:00, 13:20, 17:40, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 “ოლიმპის შვილები”
11:20 აერობიკა
11:45 კალათბურთი. WNBA ჩემპიონატი
13:40 ავტორბოლა. რუსეთის ჩემპიონატი წრიულ რბოლებში
17:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ვაჟები. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 ავტორბოლა. რუსეთის ჩემპიონატი წრიულ რბოლებში
23:00 საჭადრაკო მიმოხილვა
23:30 საუკუნის ათლეტი
01:20 ახალი ამბები
01:35 სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი “სლავების ღია თასი”
02:30 ტაილანდური კრივი

EUROSPORT

11:30 მოტორბოლა
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში
15:00 მოტორბოლა
15:30 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი შვეიცარიაში
16:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
18:00 მოტორბოლა
18:15 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
20:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში
21:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრებები
00:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
01:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
02:00 ახალი ამბები
02:15 ავტორბოლა. ამერიკული ლეგიონის ეტაპი აშშ-ში
03:15 ავტორბოლა ინდიკარი. ეტაპი აშშ-ში
04:15 ახალი ამბები
04:30 04:30-დან 11:30-მდე შესვენება
05:00 კრივი. შეჯიბრება ჰამბურგში
05:30 ავტორბოლა. მსოფლიო სერია აშშ-ში

მოკლედ

პაატა ბურჭულაძე შალიაპინის ფესტივალზე

ცნობილი ბანის პაატა ბურჭულაძის გუშინდელი კონცერტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საღამო იყო ყირიმში, ქალაქ სუდაკში გამართულ შალიაპინის სახელობის მესამე საოპერო ხელოვნების ფესტივალზე.

ბურჭულაძეს ფესტივალზე დაეხმარა დიდი თეატრის ანსამბლი ლეონიდ ლუნდეტრემის ხელმძღვანელობით. მომღერალმა შეასრულა გლინკას, მუსირგსკისა და როსინის ნაწარმოებები.

დეფილე ქალაქის არხზე

მილანში გამართული მამაკაცთა მოდის კვირეულის ყველაზე შთამბეჭდავი ღონისძიება ავსტრიელი დიზაინერის, კეროლ კრისტიან პოელის ჩვენება იყო. მის მიერ შექმნილ ტანსაცმელში გამოწყობილი მოდელები ქალაქის არხზე, Navaglio Grande-ზე დაეშვნენ.

ჩაცმულ-დახურულ მოდელებს, რომელთაც ზურგზე საცურაო ფიცრები ჰქონდათ მიმაგრებული, წყალში კასალეს გამზირთან, ხიდიდან უშვებდნენ. ნახევარი მილის ამგვარად გაცურვის შემდეგ მათ წყლიდან იყვანდნენ და ამშრალებდნენ, ხოლო დასველებულ ტანსაცმელს პარკებში აწყობდნენ. როცა ჰკითხეს, "ნაბანავებ" ტანსაცმელს რა ბედი ელისო, დიზაინერმა ჟურნალისტებს ლაკონურად უპასუხა: "გაშრება".

პოელას თქმით, მან ჩვენების ასეთი უჩვეულო ფორმა იმისთვის აირჩია, რომ თავის მოდის სახლის ინდივიდუალობისთვის გაესვა ხაზი. ის თვლის, რომ ამჟამად მოდა ერთი მიმართულებით ვითარდება, მაგრამ ყველა სერიოზულ მოდის სახლს საკუთარი სახის ქონა მართებს.

რაც თავად ტანსაცმელს შეეხება: ამ დიზაინერის ნაკეთობის თარგი ყოველთვის უზადო იყო, და სველი ქურთუკები, პალტოები და შარვლებიც კი მშვენივრად გამოიყურებოდა. კოლექციის მთავარი ფერები თეთრი, სტაფილოსფერი და ლურჯია. ფეხსაცმლის წარმოებაში 80-იან წლებში "ბენეტონის" მიერ შემოთავაზებული ტყავის დამუშავების საგანგებო ტექნიკა იყო გამოყენებული, რომლის დროსაც მისი შეღებვა ეგზემპლარის შეკერვის პროცესში ხდება.

პოელას მოდელების შეძენა ლოს ანჟელესში და პარიზში პრესტიჟულ მაღაზიებში შეიძლება. ამბობენ, რომ მასთან მილანის ერთერთი ყველაზე გავლენიანი მოდის სახლი აპირებს ხელშეკრულების დადებას – ორიგინალური დიზაინერი ყველას სჭირდება.

ჯონ მალკოვიჩის ოცნება ასრულდა

ჯონ მალკოვიჩი თავის დიდი ხნის ოცნების ასრულებას ზეიმობს: შემოდგომაზე ის საკუთარი ტანსაცმლის წარმოებას იწყებს. მისი თქმით, ერთ-ერთი მიზანი, რომელსაც მისი ტანსაცმლის ხაზი ემსახურება, მსახიობების გემოვნების გაუმჯობესებაა.

"მსახიობებს სულ ბეისბოლის ქუდებსა და მაისურებში ვხვდები," ამბობს მალკოვიჩი "დეილი ტელეგრაფისთვის" მიცემულ ინტერვიუში. "მე ეს სიმახინჯედ მიმაჩნია და ვერ ვხვდები, რა საჭიროა. სპორტული კოსტუმის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ვვარჯიშობ".

ახალი ხაზის შექმნაში, რომლის წარმოებითაც კომპანია Mrs Mudd არის დაკავებული, მალკოვიჩი უშუალო მონაწილეობას იღებდა. მან ყველა მოდელისთვის განსაკუთრებული და ადვილად დასამახსოვრებელი სახელი მოიგონა. მის კოლექციაში არის ქამრიანი ქურთუკი "იაპონელი ჯაშუში", ყელმოღერილი პერანგები "ქუჩის ჯაზმენები", პალტო "სტრესი".

მიუხედავად ასეთი ორიგინალობისა, მალკოვიჩი მოდაში უკიდურესობების მომხრე არ ყოფილა. "იმის შექმნა, რისი ტარებაც შეუძლებელია, ნამდვილად არ მაინტერესებს," თქვა მან. "აბსოლუტური სისულელეა... ჩემი კოლექციის ნივთების უმრავლესობას მე თვითონაც ჩავიცვამდი. მაგრამ ჩვეულებრივ უფრო მოსაწყენ და კონსერვატიულ სამოსს ვხმარობ. ყველაზე ხშირად ე.წ. ბანკის კოსტუმი მაცვია, თან ინგლისურ სტილს ვამჯობინებ."

ჯერჯერობით მალკოვიჩის ხაზი მხოლოდ იტალიაშია წარმოდგენილი, შემოდგომაზე კი ლონდონში, ნიუ იორკსა და პარიზშიც გამოჩნდება.

პიაფის უცნობი ჩანაწერები

ლეგენდარული ფრანგი მომღერლის გარდაცვალების შემდეგ ორმოცი წელი გავიდა, და უცებ, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში ედიტ პიაფის დღემდე უცნობი ექვსი ჩანაწერი აღმოაჩინეს.

შემოდგომაზე, პიაფის 40 წლისთავზე (ის 1963 წლის 11 ოქტომბერს გარდაიცვალა), მისი "ახალი" სიმღერების შემცველი კომპაქტ-დისკები გაიყიდება. "თავად ედიტი საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი იყო," განაცხადა ერიკ დიდიმ, საგანძურის მპოვნელმა, "და ალბათ სწორედ ამით აიხსნება, რომ ამდენხანს ამ სიმღერების შესახებ არაფერი ვიცოდით".

ექსპერიმენტი საკლუბო რეპერტუარში

ნანა ბასილაშვილი

მზადება კონცერტისათვის

ბეკო გელაშვილის ფოტო

ვინც გუშინდელი საღამო კლუბ "16 რაუნდში" გაატარა, ვფიქრობ არჩევანით კმაყოფილი დარჩა, რადგანაც გუშინ, ამ კლუბში მისული მაყურებელი, კიდევ ერთი ქართული სიახლის მომსწრე გახდა.

პოპულარული მუსიკოსებმა: მაია დარსმელიძემ (ვოკალი), ნოდარ ექვთიმიშვილმა (ბასი), გოგა გარსევანიშვილმა (საქსაფონი), ანდრეი დამერმა (კლავიშები), დი ჯეებმა სებისიმ და ქრეიზიმ კლუბ "16 რაუნდში" საინტერესო ექსპერიმენტი შემოგვთავაზეს. თუმცა, ეს სადებიუტო წარმოდგენა არ ყოფილა. კონცერტის პრემიერა, რომელსაც იდეის ავტორმა, გიორგი გაბუნიამ "ფლურა ფართი" უწოდა, ორი დღის წინათ, კლუბ "ნოა-ნოაში" გაიმართა.

"ფლურა ფართი" თბილისიური საკლუბო წარმოდგენებისა და კონცერტებისაგან განსხვავებული იყო. საკლუბო მუსიკა, რომლის მოთხოვნილება თბილისში უკვე არსებობს, ძირითადად ფონოგრამებითა და ამა თუ იმ დიჯეების ფოკუსებით სრულდება. ამ ჟანრში პროფესიონალებით დაკომლექტებული ანსამბლის კონცერტი არ ყოფილა. "ფლურა ფართი" – ეს არის თანამედროვე ელექტრონულისა და ცოცხალი მუსიკის შერწყმა. პროფესიონალი მუსიკოსების ჯგუფმა სხვადასხვა ცნობილი კომპოზიციები, ასევე პროფესიონალ დიჯეებთან ერთად შეასრულეს. "საქართველოში დასარტყმელებზე შემსრულებლის მოძებნა ძალიან ჭირს, ამიტომ, როდესაც ცოცხალი ანსამბლის კონცერტის გამართვა გადავწყვიტეთ, "უდარნიკის" ფუნქცია დი ჯეის დავაკისრეთ, შემდეგ ვნახეთ, რომ ეს კიდევ ვოკალს ითხოვდა. ასე დაიბადა ამ კონცერტის იდეა", - მითხრა "ფლურა ფართის" ორგანიზატორმა გიორგი გაბუნიამ.

წარმოდგენა სხვა დანარჩენი კონცერტებისაგან ვიზუალური მხარითაც გამოირჩეოდა. აღნიშნულ საღამოსთან დაკავშირებით კლუბი ჭყეტელა, მხიარული და ნათელი ფერის ძაფებითა და საღებავებით იყო მორთულ-მოკაზმული. ამიტომაც უწოდეს მას "ფლურა ფართი". მაყურებელს ფლურას ძაფებისაგან დამზადებული აქსესუარები დაურიგდათ, სახის ან სხეულის რომელიმე ნაწილზე მოხატვის მსურველებს, გრიმებითა და ფუნჯებით შეიარაღებული გოგონები დაუზარლად ემსახურებოდნენ. მოკლედ, საერთო მხიარულებისათვის წინასწარ ყველაფერი კარგად იყო მოფიქრებული და დაგეგმილი.

ნოდარ ექვთიმიშვილი: - "ჩვენ შევეცადეთ ეს ყველაფერი ნახევრად ცოცხალი ყოფილიყო. რაც იმაში გამოიხატება, რომ ყველა ის ინსტრუმენტი, რომლის ჟღერადობა გამორჩეულად ისმის და ის ბგერები, რომლებიც ადვილად დასამახსოვრებელია, ცოცხალად შესრულდეს. პირველივე წუთებიდან აქ მხოლოდ საცეკვაო განწყობილება იქნება. აქ არ არის პრეტენზია მუსიკალურობაზე, აქ პრეტენზიაა მხიარული და საცეკვაო განწყობის შექმნაზე. ყოველივე ეს ძალიან საინტერესოა, რადგანაც ეს ისევ და ისევ მუსიკაა. გვინდა არ გვინდა, 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, შესაბამისად... ყველაზე რთული ამ მუსიკაში ის არის, რომ ყველა ტაქტი მათემატიკური სიზუსტითაა გათვლილი. შებოჭილი ხარ რიტმული მონოტონურობით, თუმცა მუსიკალურად მოდით ნუ განვილხილავთ".

ანდრეი დამერი: - "პირველ რიგში ეს არის არა კონცერტი, არამედ შოუ, რადგანაც მასში თავად მაყურებელი მონაწილეობს. მოკლედ ამ ყველაფერს ნახვა და მოსმენა უნდა. მაყურებელი იქნება როგორც დეკორაციის ნაწილი, ასევე, თავისი ცეკვით, უშალო მონაწილე და ა.შ. პროგრამაში მხოლოდ თანამედროვე მუსიკაა. კონცერტი ძალზედ მხიარულია და სანახაობრივად ლამაზი".

მაია დარსმელიძე: – "რამდენადაც ვიცი მსგავსი ფართი თბილისში არ გაკეთებულა და ამდენად ეს კონცერტი ძალიან საინტერესოა. დი ჯეისთან ერთად ცოცხალი მუსიკა, ცოცხალი ვოკალი და საცეკვაო მიქსი. შევასრულე რამოდენიმე პოპულარული კომპოზიცია. რამდენიმე კომპოზიცია მხოლოდ ინსტრუმენტული იყო. რაც მთავარია, მაყურებელს საშუალება ეძლევა იცეკვოს სერიოზულ მუსიკაზე და არა პოპსაზე. ამას დიდი პრეტენზიით ვაცხადებ".

თითქმის საათიანი კონცერტის დასრულების შემდეგ რასაკვირველია ფართი არ დამთავრებულა. "ფლურა ფართი" ისრაელიდან და თურქეთიდან ჩამოსულმა დი ჯეებმა - MCS-მა და ქეშმა გააგრძელეს.

სიყვარულის მომღერალი

გარდაიცვალა ბარი ვაითი

განუმეორებელი ბანის მქონე მომღერალი, ამერიკული სოულის ლეგენდა, ბარი ვაითი, თირკმელის დაავადების გამო 58 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გასული წლის სექტემბრიდან ვაითი ლოს ანჟელესში, საავადმყოფოში იმყოფებოდა, და იმედოვნებდა, რომ დონორის თირკმელს მიიღებდა, მაგრამ ამაოდ. 1 მაისს, დიალიზის დროს, მომღერალს სისხლი ჩაექცა – ისედაც, წლების განმავლობაში, მაღალი წნევა ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევის შემდეგ ლაპარაკიც კი უჭირდა, მისი ქალიშვილი (ბარი ვაითს რვა შვილი და მრავალი შვილიშვილი ჰყავდა) ოპტიმისტურად ჰპირდებოდა მამის თაყვანისმცემლებს, რომ ის სულ მალე გამოჯანმრთელდება: "კვლავაც იმღერებს".

მაგრამ პარასკევს, დილით, მომღერლის მენეჯერმა ნედ შენკმენმა განაცხადა, რომ ბარი ვაითი გარდაიცვალა.

მსოფლიო მას სასიყვარულო ბალადებით იცნობდა. სწორედ ამ სიმღერების სასიყვარულო შინაარსის გამო (მათ ტექსტებს ვაითი თავად წერდა) და სულშიჩამწვდომი ხმის წყალობით, ვაითი ათწლეულების განმავლობაში სექს-სიმბოლოდ იყო აღიარებული. ის სიყვარულზე მღეროდა და სიყვარულზე ლაპარაკობდა.

"ყველაზე მეტი პატიოსნება სიყვარულის მიმართ გვმართებს. ადამიანებს ხომ ძირითადად სიყვარული აღელვებთ: ან შეყვარებულები არიან, ან საყვარელ ადამიანთან განშორებას განიცდიან," თქვა ერთხელ ვაითმა, როცა მისი სიმღერების მთავარ თემაზე იყო საუბარი.

ვაითის მუსიკის მომნუსხველი გავლენის შესახებ BBC-ც იუწყებოდა. თურმე ბიოლოგები, რომლებიც ზღვის ცხოველთა შესწავლით არიან დაკავებული, ხშირად სწორედ მის ბალადებს მიმართავდნენ: ვაითის ხმის გაგონებისთანავე ვეშაპების სასიყვარულო ცეკვას იწყებდნენ.

1944 წელს ტეხასის შტატში დაბადებული და ლოს ანჟელესში, საკმაოდ ღარიბულ ყოფაში გაზრდილი ვაითის მუსიკალური

ბარი ვაითი

კარიერა ადრიდანვე დაიწყო: ფორტეპიანოზე დაკვრა ძალიან ახალგაზრდამ ისწავლა, ბაპტისტური ეკლესიის გუნდის ლოტბარი იყო და 16 წლისამ ჩაწერა თავის პირველი ფირფიტა. მას შემდეგ მთელი მსოფლიო იყო მოხიბლული სოულისა და პოპის მისეული ნაერთით.

1969 წელს ბარი ვაითის მიერ ჩამოყალიბებული ჯგუფი Love Unlimited შემდგომ 40 კაციან ორკესტრად იქცა. მისი უდიდესი ჰიტები 70-იან წლებში იყო ჩაწერილი, მათ შორის Love's Theme და Can't Get Enough of Your Love, Babe... ვაითი ასზე მეტი ოქროს ალბომის მფლობელი იყო, მისი ალბომები მთელს მსოფლიოში 100 მილიონზე მეტი ტირაჟით გაიყიდა. მართალია, "გრემი" პირველად მხოლოდ 2000 წელს მიიღო, ალბომისთვის Staying Power.

1999 წელს ბარი ვაითმა ავტობიოგრაფიული წიგნი გამოაქვეყნა, სახელწოდებით Love Unlimited ("უსაზღვრო სიყვარული"). ამ წიგნს ქვესათაურიც ჰქონდა: "ცხოვრებისა და სიყვარულის შესახებ", ანუ სწორედ იმის შესახებ, რასაც ბარი ვაითი მთელი ცხოვრების განმავლობაში უმღეროდა.

„ოსკარი„ წესებს ამკაცრებს

ამიერიდან კინოსამყაროში ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს აღარ მიანიჭებენ ეროვნული უმცირესობის ენაზე გადაღებულ ნამუშევრებს, ხოლო "შავი ფიარისთვის" აკადემიის წევრებს გარიცხავენ. ამერიკულმა კინოაკადემიამ "ოსკარის" მინიჭების წესები გაამკაცრა.

აქამდე კონკრეტული წესები არ მოქმედებდა. არსებობდა მხოლოდ რეკომენდაციები. ცუდად მოქცევისთვის კი დასჯის ერთადეთი ფორმა ბილეთის ანულირება და ცერემონიაზე დასწრების უფლების ჩამორთმევა იყო. თუმცა ახლა ყველაფერი გაცილებით მკაცრად გადაწყდება: არაკანონიერი რეკლამისთვის, აკადემიის წევრებზე ზეწოლისთვის და ცუდი ყოფაქცევისათვის, ფილმები მოიხსნება კონკურსიდან. ხოლო აკადემიკოსები გაირიცხებიან ამერიკული კინემატოგრაფის ავანგარდიდან, რაც, თავისთავად ცხადია, მსოფლიო კინოელიტიდან გარიცხვასაც გულისხმობს.

ამერიკის კინოაკადემიის ასეთი სიმკაცრე დაკავშირებულია სკანდალთან, რომელიც წელს მოხდა. ამ ყველაფერის მთავარი მიზეზი მარტინ სკორსეზეს ფილმი "ნიუ იორკის" ბანდები გახდა. კომპანია Miramax Films რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ კინოსურათი ოქროს სტატუეტს აიღებდა. ამასთან დაკავშირებით, კომპანიამ აამოქმედა რეკლამა, "ფი არი", აკადემიკოსები იძლეოდნენ ინტერვიუებს, სადაც ამბობდნენ, რომ მხოლოდ ეს ფილმი იმსახურებდა უმაღლეს ჯილდოებს. პროდუსერები გამარჯვებას ნაადრევად ზეიმობდნენ, რამაც ისინი კრახამდე მიიყვანა. როგორც ცნობილია, ფილმმა ვერცერთი "ოსკარი" ვერ მიიღო.

ასეთი მწარე გამოცდილების შემდეგ, ამერიკის კინოაკადემიამ გადაწყვიტა შესაბამისი ზომები მიიღოს, რომ მსგავსი ინციდენტი აღარ განმეორდეს. ამის გამო მან გაამკაცრა კონკურსზე გასასვლელი ფილმების სარეკლამო პირობები. ხოლო ამ წესების დამრღვევებს ისინი მკაცრი პასუხისგებით ემუქრებიან. "ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორი იქნება ცენზურის მექანიზმი – ამბობს ამერიკის კინოხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი ფრენკ პირსენი, - თუმცა, მერწმუნეთ, ცენზურა აუცილებლად იქნება".

ცენზურა შეეხო საკონკურსო ფილმზე ავტორიტეტული ადამიანების აზრის გავრცელებასაც. მიღებულ წესებში ჩადებულია პუნქტი, რომელიც ფილმის რეკლამაში აკადემიკოსების

ოსკარის მოპოვება გაძნელდება

შეფასებების ციტირებას გამორიცხავს. ამ პუნქტის დამატებაც "ნიუ იორკის ბანდების" ისტორიას უკავშირდება. კერძოდ, კი ეს ისტორია ასეთი იყო: კომპანია Miramax Films ყველანაირად შეეცადა საგაზეთო სტატიებში გავრცელებინა ცნობილი რეჟისორისა და ამასთანავე აკადემიის წევრის რობერტ უაიზის მოსაზრება, რომ ფილმი 11 ოსკარს მაინც აიღებდა. ახლა ასეთი საქციელისთვის რეჟისორს აკადემიიდან გარიცხავენ, ხოლო ფილმს მოხსნიან ნომინაციიდან.

კინოაკადემიამ წესები შემოიღო ფილმების ატესტაციასთან დაკავშირებითაც. ამჟამად კატეგორიაში "საუკეთესო უცხოური ფილმი" შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ნამუშევარმა, რომელიც თავისი ქვეყნის ძირითად ენაზეა გადაღებული. ხოლო ფილმი, რომელიც უმცირესობის ენით მოგვითხრობს, დაიშვება კონკურსზე იმ შემთხვევაში, თუკი ის ამ უმცირესობის შესახებ მოგვიყვება. ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად აკადემიამ მიიჩნია წელს ბრიტანული ფილმთან ("ომები") დაკავშირებული ფაქტი. ბრიტანელები ცდილობდნენ ჰინდის ენაზე გადაღებული ფილმი ნომინირებული ყოფილიყო "ოსკარზე".

"ამიერიდან უფრო ფრთხილად ვიქნებით. მიღებული წესების შემდეგ, ექვსი ათასი აკადემიკოსიდან, არა მგონია რომელიმემ გარისკოს", - ამბობენ ამერიკულ კინოაკადემიაში და დარწმუნებულები არიან, რომ მიღებული გადაწყვეტილებების წყალობით, "ოსკარების" მინიჭება გაცილებით სამართლიანად მოხდება.

რუსული „ბუკერისთვის„ 31 პრეტენდენტი იბრძვის

რუსული "ბუკერის" ჟიურიმ უკვე გამოაცხადა 2003 წლის პრეტენდენტები. საკმაოდ გრძელი სია შედგა. ნომინანტებში 31 ნაწარმოებია დასახელებული. როგორც ვარაუდობენ, ფინალისტების მოკლე სიას, რომელშიც ექვსი საუკეთესო ნაწარმოები შევა, ჟიური 2 ოქტომბერს გაამჟღავნებს. რუსული "ბუკერის" ლაურეატი კი 4 დეკემბერს გამოვლინდება.

წელს გამარჯვებული 15 ათას დოლარს მიიღებს (ადრე საპრიზო თანხა 12,5 ათას დოლარს შეადგენდა), დანარჩენი ფინალისტები კი ათას-ათას დოლარს მიიღებენ. ჟიურის თავმჯდომარემ, მწერალმა იაკობ გორდინმა აღნიშნა, რომ წლევანდელი ნომინანტების სიაში მოხვედრილი ნაწარმოებები განსაკუთრებული მხატვრული ღირსებით არ გამოირჩევიან. რუსული პროზისთვის დრევანდელი პერიოდი მაინცდამაინც წარმატებული ვერაა, - შენიშნა მან. გორდინმა ისიც აღნიშნა, რომ თანამედროვე რუსული ლიტერატურა ჟანრების მრავალფეროვნებით ხასიათდება – უტოპია, დეტექტივი, თრილერი, სამიჯნურო რომანი და ა.შ. - ამას საკონკურსოდ შერჩეული ნაწერებიც მოწმობს. წელს ნომინანტები წარადგინეს: 15-მა გამომცემლობამ, 8 ჟურნალმა, 8 უნივერსიტეტმა და 4-მა ბიბლიოთეკამ.

"ბუკერი" რუსეთში 1992 წლიდან გაიცემა და ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ პრემიად ითვლება. სახელწოდება "ბუკერი – ღია რუსეთი" პრემიას 2002 წელს დაერქვა, მას შემდეგ რაც პრემიის სპონსორი საზოგადოებრივი ორგანიზაცია "ღია რუსეთი" გახდა.

სან პაულოს ორი მშვენება

ნაომი ქემპბელი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საკუთარი სუნამოების პოპულარობა მთელ მსოფლიოში გაზარდოს. თუმცა, ბიზნესმენობა მას პოდიუმზე სეირნობაში ხელს არ უშლის. წინა კვირას ნაომი მილანში იყო და "დოლჩე & გაბანას" კოლექციის ჩვენებაში მონაწილეობდა, იქიდან თურქეთში გადაფრინდა და სტამბულის მოდის ცენტრში ახალგაზრდა თურქი დიზაინერების ჩვენებას დაესწრო, გუშინწინ კი პირდაპირ ბრაზილიაში, სან პაულოში ჩაფრინდა და იქაურ სუპერმოდელ ჟიზელ ბუნდხენთან ერთად საზოგადოებას ახალი საცურაო კოსტუმები წარუდგინა. მას გამუდმებული მგზავრობისგან ძალიან ტკიოდა კისერი, მაგრამ "ვოგის" ცნობით, პოდიუმზე მაინც შესანიშნავად გამოიყურებოდა. ნაომის მოდის სახლ "როზა ჩას" ოქროსფერი მთლიანი საცურაო კოსტუმი ეცვა, რომელსაც ის მაყურებელს სიცილითა და ცეკვით წარუდგენდა. ბოლოს პოდიუმზე "როზა ჩას" მთავარი დიზაინერი ამირ სლამაც გამოიყვანა, ხელი ჩასჭიდა, თბილად გადაკოცნა და ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ პოდიუმზე ქცევის ეტიკეტი ყველაზე უკეთ ესმის და წესებსაც ყველაზე ბუნებრივად და ლამაზად იცავს.

ნაომის გარდა, სან პაულოში მეორე მზეთუნახავზეც ბევრს საუბრობდნენ. ცნობილმა ბრაზილიელმა მოდელმა, ჟიზელ ბუნდხენმა, კიდევ ერთხელ გამოხატა საკუთარი ქვეყნის თანადგომა: მან 2004 წლის გაზაფხულ-ზაფხულის საცურაო კოსტუმების კოლექციის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა. კოლექცია ბრაზილიურ მოდის სახლს, Cia Maritima-ს ეკუთვნის. ჟიზელი პოდიუმზე სამგზის გამოვიდა: ჯერ ჭრელი ყვავილებით მოჩითულ ბიკინისა და გამჭვირვალე პერანგში, შემდგომ – ზოლიან სამოსში, და ბოლოს მან დასკვნითი გამოსვლის დროს მოდის სახლის დირექტორს, ბენი როსეტს დაუმშვენა გვერდი.

ორი წლის წინათ როსეტმა ჟიზელს პოდიუმზე სამჯერადი გამოჩენისთვის დაახლოებით 150 ათასი ამერიკული დოლარი გადაუხადა. ამჟამად რამდენი მიართვეს პატრიოტ ლამაზმანს, არავინ იცის.

ნაომი ქემპბელი სან პაოლოში

"ტერმინატორი" ერაყში

არნოლდ შვარცენეგერმა ერაყში მყოფ ამერიკელ ჯარისკაცებს დანაპირები შეუსრულა და ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს მათთან სტუმრად ჩავიდა. მსახიობმა ჯარისკაცებს თავისი ახალი ფილმი "ტერმინატორი-3: მანქანების აჯანყება" ჩაუტანა. ასე რომ, მთელი კვირის დაძაბული რეჟიმის შემდეგ დასვენების დღეებს ჯარისკაცები "ტერმინატორის" გარემოცვაში ატარებენ.

შვარცენეგერის ერაყში ვიზიტი ამერიკელი სამხედროებისათვის დიდი სიხარული იყო. სადამ ჰუსეინის ერთ-ერთ რეზიდენციაში, რომელიც ამერიკის დროშებით მოერთოთ, ასობით ჯარისკაცი აღტაცებული შეეგება ჰოლივუდის ვარსკვლავს. ფილმის პრეზენტაციის დაწყებამდე, წინ შვარცენეგერმა ქება შეასხა ჯარისკაცებს და ამ სიტყვებით მიმართა: მართალია, მე ტერმინატორი ვითამაშე, მაგრამ ნამდვილი ტერმინატორები სწორედ თქვენ ხართო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამხედროების ერთ ნაწილს მოეჩვენა, თითქოს ცხოვრებაში ის ისეთი დამაჯერებელი არ არის, როგორიც კინოშია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჰოლივუდის ვარსკვლავმა მებრძოლთა გამხნევება და საბრძოლო განწყობის ამაღლება მაინც მოახერხა. ბოლოს კი ყველა მსურველთან ერთად გადაიღო სამახსოვრო ფოტო.

სხვათა შორის, ერაყში ჩასულმა 55 წლის მსახიობმა თავისი გეგმებიც გაამხილა, ის აპირებს კენჭი იყაროს კალიფორნიის გუბერნატორის თანამდებობაზე.

მოდა+როკი

ცნობილი მსახიობი ელიზაბეტ ჰარლი გრანდიოზული შოუს წამყვანად მოგვევლინება. შოუ, სახელწოდებით Fashion Rocks, ლონდონში, "როიალ ალბერტ ჰოლშია" დაგეგმილი ოქტომბრის თვეში. შოუზე წარმოდგენილი იქნება მსოფლიოს წამყვანი დიზაინერების (18 დიზაინერის) კოლექციები როკ-მუსიკის კონცერტის თანხლებით. მასში მონაწილეობას მიიღებენ მაკარტნის, ვერსაჩეს, დოლჩე & გაბანას და სხვა სამოდელო სახლების მოდელები.

ჯეი ლოსა და ბენის სასიყვარულო ბუდე

იქნებ ეს თავდაღწევაცაა ჰოლივუდისგან?

გიჟივით შეყვარებული ბენ აფლეკი ქონების წყალობით, ეფექტურად გამოხატავს თავის გრძნობებს - ჯენიფერ ლოპესთან ოქროს მომავლის იმედით, ის მათ პირველ საერთო სახლს ყიდულობს. ჰოლივუდის ვარსკვლავმა 15 მილიონი გაიღო ამ ახალი, უზარმაზარი სახლის შესასყიდად.

ბენმა თავის საცოლესთან ერთად სავანასთან ახლოს, მომხიბვლელ კუნძულს შეაფარა თავი. ჯერ კიდევ თვეების წინ წყვილი ამ ტერიტორიაზე აქტიურად ათვალიერებდა სახლებს და იმასაც კი ფიქრობდა, ჯორჯიას კუნძულებზე ქორწილისთვის შენობა მოეძებნა.

ახლა მათ ხელში ძვირადღირებული სამფლობელო ჩაიგდეს, რომელსაც ტყეში 83 აკრი უჭირავს და ეგზოტიკურ ჩანჩქერებს გადმოჰყურებს.

მაგრამ იქ მათ ვარსკვლავებივით არავინ მოექცევა. ზუსტად ისე, როგორც ჰემპტონის კუნძულზე მდებარე სხვა 9 სახლის მფლობელს, ბენსაც მოუხდა გაევლო გასაუბრება და მხოლოდ შემდეგ დართეს ნება შესულიყო სახლების მფლობელთა ასოციაციაში.

უძრავი ქონებით მოვაჭრის უეიდ შილის თქმით, რომელიც უძღვებოდა ამ გარიგებას და მსახიობს პირადად გაესაუბრა, ბენი გაგებით მოეკიდა ასოციაციის კრიტერიუმებს. შილი აცხადებს: "მე ვეძებ ხალხს, რომელსაც ერთნაირი რწმენა და ინტერესები გააჩნია; ძირითადად კუნძულისა და მიწის გაფრთხილებას ვგულისხმობ, ისტორიისა და ველური სამყაროს დაცვას." თუმცა ის არაფერს გვიყვება იმის შესახებ, წყვილის მეზობლებიც გამოჩენილი ადამიანები არიან თუ არა, მაგრამ შილი ამბობს: "ყველა ისინი ძალიან წარმატებულები, მდიდრები და ელიტარულები არიან; თავისი პროფესიის მწვერვალზე მყოფი ხალხია, ვინც აფასებს და დიდ სიამოვნებას იღებს იმ პირადი და საზიარო ცხოვრებით, რომელსაც მათ ჰემპტონის კუნძული სთავაზობს."

მთავარი სამფლობელო, სადაც ჯეი ლო და ბენი იცხოვრებენ ცნობილია "დიდი სახლის" სახელით. სასიყვარულო ბუდის გვერდზე სტუმრებისთვის განკუთვნილი "ხამანწკების სახლად" წოდებული ხის შენობა დგას, რომელსაც ეჭვგარეშე, უკვე ძალიან მალე წყვილის სუპერ-ვარსკვლავი მეგობრები დაიკავებენ. აგენტი, რომელმაც წყვილს კუნძული დაათვალიერებინა, ამბობს: "ისინი გაღიმებული სახეებით სეირნობდნენ. ბენი მთლიანად მოცულია ამ ადგილის უჩვეულო სილამაზითა და სიმშვიდით."

ჯენიფერი უკვე ფლობს სახლებს ნიუ იორკში, მაიამისა და ბევერლი ჰილზზე, მაგრამ მათი ახალი სახლის სიმყუდროვე მომღერალს ოჯახის შექმნისთვის იდეალურ დახმარებას გაუწევს.

ბენ აფლეკი გიჟივით შეყვარებულია ჯენიფერ ლოპესზე



შეყვარებულთა მყუდრო ბუდე

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

ბრიჯი

გურამ ბერიშვილი

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს წინა პუბლიკაციებს ინტერნეტით: www.berishvili.pvt.ge

საკუთარი მოსაზრებები შეგიძლიათ გამოაგზავნოთ guram@berishvili.pvt.ge

N14

ერთ-ერთ წყვილთა ტურნირზე W - E ადგილებზე იყვნენ გამოჩენი ბრიჯისტები Pirre Jais და Adam Meredith. მათ წინააღმდეგ დაინიშნა 4♠, გამთამაშებელი S.

	♠ A K 3 2 ♡ 7 5 ◇ V 5 4 ♣ A K V 9	
♠ 8 6 ♡ K D V 3 ◇ D 9 2 ♣ 6 5 4 2	N W E S	♠ D 10 ♡ 10 9 8 6 2 ◇ K 10 8 ♣ D 8 3
	♠ V 9 7 5 4 ♡ A 4 ◇ A 7 6 3 ♣ 10 7	

W-მ წამოიწყო ♡K-თი.

აიღო რა პირველი სვლა ♡A-თი, გამთამაშებელმა შეამოწმა თულფი. თულფში დანაკარგი არ აღმოჩდა. კონტრაქტი შესრულებადია. ჩნდება დამატებითი აღების ცდუნება. ეს, ბუნებრივია ჯვარმა უნდა მისცეს და გამთამაშებელი გამოდის S-დან ♣10-ს, N-დან დებს 9. არავითარი რისკი ამაში არ არის, თუ E წაიღებს D-თი, გამთამაშებელი იღებს 5 თულფს, აგურისა და გულის ტუზებს და 3 ჯვარს, კონტრაქტი შესრულებულია. თუ კი D აღმოჩდა W-სთან, მაშინ ჯვარში დამატებითი აღებაც იქნება. და აი აქ Adam Meredith არაორდინალურად იქცევა. იგი ამ სვლაზე დებს სამიანს, არ იღებს D-თი. გახარებული გამთამაშებელი იღებს თულფებს, იღებს გულისა და აგურის ტუზებს, გადის ♣7-ს და N-დან დებს V-ს. კონტრაქტი ჩავარდა, რადგან E იღებს D-თი, იღებს ◇K-ს და გადის ♡10-ს. მან იცის, რომ ♡K პარტნიორთანაა (ის რომ S-ს ჰქონოდა, აიღებდა).

გათამაშების თუ დაცვის ზოგ ილეთს განსაკუთრებული სახელი მიენიჭა. მათ შესახებ თანდათანობით მოგიყვებით. დღეს მინდა ერთერთ შთამბეჭდავ ილეთზე მოგითხროთ, რომელიც თავისი პირველი შემსრულებლის ფრანგი ბრიჯისტი Deschapelles სახელს ატარებს. აუქციონი შემდეგია

S	W	N	E
1♣	პას	1♠	პას
1 უთ	პას	3 უთ	პას
პას	პას		

ვთქვათ ჩვენ ვართ E-ზე და W-დან ◇10-ით დაწყების შემდეგ ვხედავთ N-ის კარტს

♠ A D 10 4
♡ A V
◇ 7 5 4 2
♣ 8 6 3

	N W E S	♠ 9 8 7 6 5 ♡ K 7 5 2 ◇ A K ♣ A 4

♠ K V
♡ 10 9 4 3
◇ D V
♣ K D V 10 9

ვიღებთ აგურის A-ს, K-ს და ვხედავთ, რომ S-დან ვარდება V და D. ჩვენი პარტნიორის აგური განთავისუფლდა და თუ მან მიიღო სვლა აიღებს კიდევ სამს ამ ფერში. მაგრამ პრობლემა სვლაშია. მიიღებს კი იგი სვლას?

ჩვენი მიზანია დავეხმაროთ მას. ჯვარი S-ის ფერია, ყვავი მაგიდაზეა. ესე იგი შესაძლებელია მას ჰქონდეს რაღაც გულში. მაგიდაზე ვხედავთ A-სა და V-ს. თუ A-ს ამოვაგდებთ და გულის D პარტნიორთანაა, კონტრაქტს ჩავაგდებთ. ესე იგი უნდა გავიდეთ გულის K, შევწიროთ იგი.

მართლაც თუ განლაგება ასეთია

♠ A D 10 4
♡ A V
◇ 7 5 4 2
♣ 8 6 3

♠ 3 2 ♡ D 8 6 ◇ 10 9 8 6 3 ♣ 7 5 2	N W E S	♠ 9 8 7 6 5 ♡ K 7 5 2 ◇ A K ♣ A 4

♠ K V
♡ 10 9 4 3
◇ D V
♣ K D V 10 9

როგორც კი N აიღებს ჩვენ ♡K-ს და შეეცდება ჯვრის განთავისუფლებას, გადავალთ გულით პარტნიორთან და ჩავაგდებთ კონტრაქტს.

საქმეს არ შველის ♡K-ს არ აღება, ჩვენ გავიმეორებთ გულს.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია ილეთი, რომელსაც იმპერეტორის სახელი შეარქვეს.

მაშ ასე, იმპერატორის ილეთი დაცვაში. ამ ილეთის სადემონსტრაციოდ განვიხილოთ ხელი

♠ 8 3
♡ K D 8
◇ K V 10 7 6 2
♣ D 9

♠ A 6 ♡ V 7 3 ◇ A 5 ♣ K 10 8 5 3 2	N W E S	♠ K 10 9 7 5 2 ♡ 6 4 2 ◇ D 3 ♣ 7 4

♠ D V 4
♡ A 10 9 5
◇ 9 8 4
♣ A V 6

აუქციონი შემდეგნაირია

W	N	E	S
1♣	1◇	1♠	1 უთ
პას	3 უთ	პას	პას
პას			

გათამაშებას იწყებს W. სვლა ♠A-თი საკმაოდ ბუნებრივია, ყვავი პარტნიორის ფერია და საჭიროა დროზე გაირკვეს მდგომარეობა ამ ფერში.

E აგდებს დიდ კარტს, 10-ს, რათა შეატყობინოს პარტნიორს, რომ საჭიროა გაგრძელება. W აგრძელებს ყვავით, E იღებს და კიდევ ერთხელ ჩამოდის ყვავს. ამიერიდან ყვავი მარტო მას აქვს. ეს W-მაც იცის, K-ზე V დავარდა, 9 პარტნიორთანაა. ასე რომ არ იყოს, პირველ სვლაზე 10-ს არ დააგდებდა. კონტრაქტის ჩასაგდებლად საჭიროა პარტნიორმა როგორმე სვლა მიიღოს.

W ხედავს, რომ გამთამაშებელს აუცილებლად დასჭირდება აგურის განთავისუფლება. ყვავში ერთი, გულში ოთხიც რომ იყოს და ჯვარში ერთი, კონტრაქტს არ ჰყოფნის. თუ აგურის D პარტნიორთანაა, იგი აუცილებლად მიიღებს სვლას, მაგრამ ამას უშლის W-ს ◇A. და აი ყოველივე ამის გაანგარიშების შემდეგ W მესამე ყვავზე აგდებს თავის ◇A-ს. კონტრაქტი ჩავარდა.

სვლები სრულად

	W	N	E	S
1	♠A*	♠3	♠10	♠4
2	♠6	♠8	♠K*	♠V
3	◇A	♣9	♠2	♠D*
4	◇5	◇K*	◇3	◇4
5	♡3	♡K*	♡2	♡5
6	♡7	♡D*	♡4	♡9
7	♡V	♡8	♡6	♡A*
8	♣2	♣D	♣4	♡10*
9	♣3	◇V	◇D*	◇8
10	♣5	◇2	♠9*	◇9
11	♣8	◇6	♠7*	♣6
12	♣10	◇7	♠5*	♣V
13	♣K	◇10	♣7	♣A*

ისევ შემოგთავაზებთ ცნობილი ბრიჯისტების მიერ გათამაშებულ ხელს

♠ D 8 6
♡ A V
◇ D 10 9 4 3 2
♣ V 7

♠ 7 5 4 ♡ 7 6 ◇ A 6 5 ♣ D 10 9 8 3	N W E S	♠ A 9 2 ♡ 8 5 4 3 ◇ V 7 ♣ K 6 5 2

♠ K V 10 3
♡ K D 10 9 3
◇ K 8
♣ A 4

აუქციონი ორივე ოთახში მოწინააღმდეგეთა მუდმივი პასის თანხლებით ერთნაირად დაიწყო: S - 1♡, N - 2◇, S - 2♠.

S	W	N	E
1♡	პას	2◇	პას
2♠	პას	. . .	

პირველ ოთახში დამთავრდა 3 უთულფოთი, რომელიც ჩავარდა. მეორე ოთახში Leon Tintner (N) და Jacques Stetten (S)-მა სხვაგვარად წარმართეს. 2♠-ზე N-მა განაცხადა 3♣. ეს განაცხადი არ შეიძლება ნიშნავდეს თულფად ჯვრის შეთავაზებას. N-მა იცის S-თან 5 გული და 4 ყვავი. S-ს გულშიც რომ 4 ჰქონდეს, მან ჯერ ყვავი უნდა თქვას და შემდეგ გული. ამიტომ იგი არ უნდა ელოდებოდეს ჯვარში 4 კარტს. განაცხადი "3♣" უფრო შეკითხვაა, რაზეც S პასუხობს 3◇-ით, რაც აგურში მალალი კარტის არსებობას ნიშნავს. ამაზე N ჩერდება 3♡-ზე, რაც S-ისათვის ნიშნავს უთულფოს უარყოფას და N-იც ნიშნავს გეიმს გულში "4♡".

S	W	N	E
1♡	პას	2◇	პას
2♠	პას	3♣	პას
3◇	პას	3♡	პას
4♡	პას	პას	პას

W-მ გათამაშება დაიწყო ♣D-თი, რომელიც S-მა ტუზით აიღო.

რასაკვირველია, ღია კარტით შეიძლება დაინახოთ როგორ შეიძლება ამ კონტრაქტის მოგება, მაგრამ გათამაშება მიმდინარეობს დახურული, მხოლოდ N-ის კარტია ყველასათვის ღია.

თუ არ დაფიქრდებით და აიღებთ 4 თულფს, გახვალთ ◇K-ს, რათა გაანთავისუფლოთ N-ის გრძელი ფერი, W აიღებს და წამოვა ისევ ჯვარს. კიდევ ჯვარი, რომელიც უნდა მოკლათ. და თუ მოისურვებთ ◇V-ს გაჭრას, რათა შეასრულოთ კონტრაქტი, V აიღებს და კონტრაქტი ჩავარდა.

როგორია სწორი გათამაშება?

მომავალში ვაპირებთ გამოვაქვეყნოთ სწორი პასუხების ავტორები.

გამოგვიგზავნეთ თქვენი პასუხები ან ელექტრონული ფოსტით ან გაზეთის მისამართით.

TV პროგრამა 6 ივლისი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ჯადოქარი **10.15** საბ.ფილმი „ნაითშენი“ **11.00** უიმბლდონის ყოველდღიური მიმოხილვა **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ.ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.10** დოკ. სერიალი „ველური სამყაროს ამბები“ **18.00, 02.00** კურიერი **18.20** უიმბლდონის ჩემპიონატი. ფინალი მამაკაცებში და წყვილ ქალთა შორის. **21.00** კურიერი **21.45** ჩვენი ეზო **22.00** „ჯეოსელის კინოკლუბი“ - „სასაცილო გოგონა“ 877 45-79-25 ბარბარა სტრეიზანდი, ომარ შარიფი,“ყველაფრის ფასად“ 877 45-79-26, სტივენ ბოლდუინი, ტომ სელერტი, „სიყვარული იარაღია“ 877 45-79-27 ერიკ რობერთსი, კელი პრესტონი. **00.10** ჯაზი **01.00** 2003 წლის უიმბლდონის ყოველდღიური მიმოხილვა **02.15** კლასიკა.

პირველი არხი

08.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი „ფრენის სისწრაფე“ **09.45** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ **10.00** კონცერტი **10.15** დიდი დასვენება **10.45** სპა **11.15** ტვ-ლოტო **12.00** ჩოგბურთელ ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი „ბორჯომის თასი“. **14.35** არათბილისური ამბები **15.00** მოამბე **15.15** შ. რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლი „სისხლიანი ქორწილი“ **16.55** წარსულის ტერიტორია **17.30** მულტსერიალი „ჯანშუები“ **18.00** ტაიმ-აუტი. **18.20** „სახსოვარი“ **18.50** ჩემპიონი **19.25** ჩვენი მისამართია **20.00** ტაიმ-აუტი **20.55** დოკ. ფილმი „ლიანა ისაკაძე“ **22.10** მეალმანია **22.45** ქართული მოკლემეტრ. მხ. ფილმები „ქართლოსიანთა საკურთხეველი“, „ნისლა“. **00.00** ტაიმ-აუტი **00.30** მხ. ფილმი „ჰოლდენის კვალდაკვალ“.

პირველი სტერეო

09.00 მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ჩემი ახალი პისტოლეტი“ მთ. რ-ში დაიან ლეინი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** უცხ. მუსათეული **22.30** პროფათეული **22.55** მუსიკა **23.15** სოლო **00.00** „ბრავო“ „რეკრუტი“ მთ.რ-ში ალ პაჩინო, კოლინ ფარელი. **01.40** „ღამურა“ „განცხრომა“ მთ.რ-ში კრეიგ შეფერი, შერილ ლი. **03.45** პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი **19.30** დიზაინი **19.50** შეხვედრები ფიქრის გორაზე **20.30** საქართველოს მატიანე **21.00** დოკ. ფილმი **21.50** ვარსკვლავები გვამცნობენ **22.00** შვიდეული **23.00** მხ. ფილმი „მე შენ გკარგავ“.

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „პერლ ჰარბორი“ **15.00** მხ. ფილმი „შემოდგომის ლეგენდები“ **17.00** მხ. ფილმი „გოძილა“ **19.00** ინდ. მხ. ფილმი „მზიური დინასტია“ **22.00** მხ. ფილმი „როგორ გახდე პრინცესა“ **00.20** მხ. ფილმი „ვარსკვლავური დესანტი“.

იგერია

08.00 ანონსი, მულტფილმი **08.20** აღსავალი **08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50** მუსიკა **08.30** ახალი ამბები **09.00** მხ. ფილმი „გამქრალი სილამაზე“ **10.20** მულტფილმი **12.30** გადაცემა - მურადა (განმ.) **13.00** მუსიკალურ ტალღაზე **15.00** ქიმერიონი **17.00** ბალეტი **19.30** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი „ქალის სილამაზე“ **22.00** ტელე-სინე-ვიდეო **23.00** მხ. ფილმი „ჯაშუშთა თამაშები“ **01.00** ღამის ფილმი

მცხრე არხი

09.30 მულტფილმი „მხიარული მელოდიები“ **09.55, 19.15, 20.15, 22.15, 00.20** მუსიკა **10.00** სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“ **10.25** მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი“ **11.00** „საუბრები სტუდიაში“ **12.00** „ცხელი ცხრიანი“ **12.50** მხ. ფილმი „დაუმთავრებელი წერილი“ **14.20** „ტელემეტრი“ **14.35** „ოლიმპო“ **15.00** დოკ. ფილმი „დეკულპეს პლანეტა“ **16.15** მხ. ფილმი „გულის მუსიკა“ **18.15** მუსიკალური ფილმი „ბილი ქობები თბილისში“ **19.00** „ბელისიმო“ - ვალერიან გამგებელი. **19.30** „მსოფლიო ფეხბურთი“ **20.00** „ოსტატები“ **20.15** „ჩემი ქვეყანა“ - ფეხბურთის აკადემია **20.40** რუს. სერიალი „რუსი ამორძალები“ მე-3 ს. **22.00** მარიონეტების ფილმი „ყორანები“. „თავისუფლების სურნელი“ **22.30** მხ. ფილმი „უკან დაბრუნება“ **00.20** მხ. ფილმი „უსირცხვილოდ“.

იმედი

08.55 ქრონიკა **09.05, 15.15, 18.00, 01.10** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაციური სერიალი „მითიური მეგობრები“ **10.50** სერიალი „ნირო ვულფი“ **12.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **13.00, 15.00, 16.45, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.15** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **13.40** თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“ **14.30** სპორტ. პროგრამა „სსი“ **15.15** ქართ. ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ **17.15** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“ **18.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **19.30** სერიალი „შტოკინგერი“ **20.30** ჩ-კლუზივი **21.05** ქართ. სერიალი „მგლების ხორუმი“ **23.10** მხ. ფილმი „შემოდგომა“. **02.00** ქრონიკა.

ევრიკა

11.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **12.00** თეატრალური შეხვედრები **13.35** თბილისური ოჯახები **14.00** ძველი ინდური კინო „პროკურორის შვილი“ **16.30** დოკ. ფილმი „ფანჯარა ევროპაში“ **19.00** კითხვების კორანტელი **19.20** ცეროდენა ვარსკვლავები **20.00** შეხვედრა ვარსკვლავთან **20.20** მოგზაურობა ბავშვობაში **20.40** თავისუფალი მიკროფონი **20.50** თქვენი აზრით **21.00** „კვირის ვესტი“ **22.00** „იდენ-ტე“ **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** ტელესერიალი „ყავახანა“ **23.45** მხ. ფილმი

VII არხი

18.10 „ლა-ლა-ლა **18.50** კომპიუტერული თამაშები **19.00** „ახიკუდა“ **19.20** მობილურები **20.10** მელოდია **20.25** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.50** ავტოტრეკინგი **21.35** კომპიუტერული ტექნიკა **22.15** „კინოკლუბი „ - „ჭიაყელების ქალა“. ფანტასტიკა. რეჟ- პოლ შნაიდერი . როლებში: მალკოლმ მაკდაუელი, მარკუს ტერნერი **00.15** აუდიო-ვიდეო-ტელე

ОРТ

07.00 Новости **07.10** Сериал „Китайский связной“ **08.00, 11.00, 15.00** Новости **08.10** Сериал „Приключения Геркулеса“ **09.00** Сериал „Твинисы“ **09.20** „Служу Отчизне!“ **09.50** Дисней-клуб: „Легенда о Тарзане“ **10.10** „В мире животных“ **11.10** „Непутевые заметки“ **11.30** „Пока все дома“ **12.05** „Дог-шоу“ **12.55** „Большие родители“. Е.Фурцева **13.25** „Клуб путешественников“ **14.10** „Умницы и умники“. Финал **15.15** Дисней-клуб: „Мышиный дом“ **15.40 Комедия „Игрушки“ 17.40** „Ералаш“ **18.05** Док.сериал „Живая природа“. „Тайны тысячи островов“ **19.00** „Времена“ **20.10** Концерт „Авторадио“ - 10 лет“. Е.Петросян, Н.Басков, М.Жванецкий, И.Николаев, М.Задорнов, О.Газманов **22.30 Боевик „Угнать за 60 секунд“ 00.40** Бокс. Свен Оттке - Байрон Митчел **01.40** Музыкальный фестиваль „Крылья“

РТР

07.00 Худ.фильм „Принц-самозванец“ 08.30 Мультфильм „Контакт“ **08.40** Мультсериал „Джеки Чан“ **09.20** „Русское лото“ **10.05** „ТВ Бинго-шоу“ **10.35** Местное время. Вести - Москва. Неделя в городе **11.15** „Городок“. Дайджест **11.45 Комедия „Призрак с шофером“ 13.15** „Вокруг света“ **14.05** „Диалоги о животных“ **15.00** Вести **15.20** „Мир на грани“ **15.50** „Комната смеха“ **16.55** Чемпионат мира по автогонкам „Формула-1“. Гран-При Франции **19.00 Комедия „Кости и собаки“. 21.00** Вести недели **22.10 Худ.фильм „Терминатор. Судный день“ 00.50 Боевик „Формула 51“ 02.50 Худ.фильм „Безмолвный гнев“ 04.35 Сериал „Семь дней“**

НТВ

07.00 Худ.фильм „Адмирал Нахимов“ 08.30 Худ.фильм „Полундра!“ 09.00, 13.00, 17.00 „Сегодня“ **09.20 Сериал „Голубое дерево“ 10.20** Док.фильм „Архитектор мечты“ **10.50** Лотерея „Шар удачи“ **11.20 Т/с „Любовь вдовца“ 12.15** „Растительная жизнь“. Л.Нарусова **12.50** Играем в „Кено“ **13.15** „Влияние“ **14.00 Детектив „Ринг“ 15.50** „Вкусные истории“ **16.05** „Своя игра“ **17.20** „Женский взгляд“. М.Арбатова **17.55** „Вы будете смеяться!“ **18.05** „Истории охотника за крокодилами. Забор от Динго“ **18.40 Комедия „Рядовой Бенджамин“ 20.50 Боевик „Агент национальной безопасности“ 22.00** „Намедни „. Лучшие репортажи“ **23.30 Мелодрама „Танец - вспышка“ 01.30 Боевик „Бессмертный“.** 1 и 2 с.